საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი, 16 სექტემბერი 1936 წ. № 215 (4714)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ფოთოლი მოიკრიფოს დროულად და ყველა დადგენილი წესის დაცვით... უკვე მალე უნდა დადგეს ვადა, როდესაც ძირითადად დავაკმაყოფილებთ მთელ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას ჩაის მხრივ.

ლ. ბერია.

(მოხსენებიდან საქ. კ. პ.(ბ) ც. კ-ის V პლენუმზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის ფრონტი

წელს დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეები სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ჩაის ფოთლისა და გრძელვადიანი კრედიტების ანგარიშში მიიღებენ 74 მილიონ მანეთს. ჩაის საბჭოთა მეურნეობანი, რომლებიც თანდათან მტკიცედ ადგებიან რენტაბელობის გზას, მარტო ჩაბარებული ჩაის ფოთლის ანგარიშში მიიღებენ 14 მილიონ მანეთს. ჩაის რაიონებისა და კოლმეურნეობების შემოსავლიანობა შემდეგაც ყოველწლიურად გაიზრდება, რადგანაც შეუჩერებლად ფართოვდება ჩაის პლანტაციების არე და დიდდება მოსავლიანობა. ამგვარად, ჩაის კულტურა დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებისათვის უკვე გადაიქცა შემოსავლის ძირითად წყაროდ, ყველა კოლმეურნეთა შეძლებულად გადაქცევის მთავარ საშუალებად.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჯერ კიდევ გადაჭრით არ შეიძლება იმის თქმა, რომ დასავლეთ საქართველოს რაიონებში ჩაის კულტურა სარგებლობდეს იმ ყურადღებითა და მზრუნველობით, რომლის ღირსიც იგი არის. როგორც ამხ. ლ. ბერია ამბობს, „ჩაის რაიონებში ჩვენს ამხანაგებს ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ შეუგნიათ ჩაის მეურნეობის სერიოზულობა და სირთულე, მისი შრომის ტევადობა".

ჩაის მეურნეობის შეუფასებლობა წელს ერთხელ კიდევ ნათლად გამოჩნდა იმით, რომ ჩაის ფოთლის კრეფაში დღემდე სამარცხვინო ჩამორჩენაა. შარშანდელთან შედარებით წელს 9 მილიონ კილოგრამზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი უნდა მოიკრიფოს. ეს ავალებდა ჩაის რაიონებს წელს გაცილებით უკეთ და სერიოზულად მოეწყოთ კრეფის საქმე, ვიდრე შარშან.

რა მოხდა ფაქტიურად? მოხდა ის, რომ აგვისტოს პირველი რიცხვებისათვის სამარცხვინო გარღვევის წინაშე აღმოჩნდა თითქმის ყველა რაიონი.

რამ გამოიწვია ეს ჩამორჩენა? ცხადია, მუშაობის უხეიროდ დაყენებამ, თვითდინებამ, იმის შეუგნებლობამ, რომ ჩაის კულტურა არ ითმენს ცალკე სამუშაოთა თუნდაც ერთი დღით გადადებას; ჩამორჩენა გამოიწვია იმან, რომ პარტიული ორგანიზაციები არ აღმოჩნდნენ საკმაოდ მომზადებულნი, რათა შეესრულებინათ შარშანდელთან შედარებით გადიდებული, მაგრამ სავსებით რეალური გეგმა ჩაის ფოთლის კრეფისა.

არის ლაპარაკი უამინდობაზე, გაისმის გაუბედავი მომიზეზება იმისა, რომ პარტდოკუმენტების გამოცვლას შევრჩით და ამან დაგვაბრკოლაო, მაგრამ არცერთი ეს მოტივი არ არის სწორი. აგვისტოს პირველ რიცხვებში საკმაო იყო ცენტრალური კომიტეტის ჩარევა, რომ მახარაძის რაიონს ერთბაშად გამოესწორებია სერიოზული გარღვევა ჩაის კრეფაში. საკმარისი შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის მითითებით აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. აგრბას რამდენიმე დღით ჩასვლა გალში და იქაც ასწორებენ გარღვევას. ჩაის რაიონების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე ამხ. ლ. ბერიამ მწვავედ მიუთითა ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ამხ. სულაბერიძეს და ეს მეურნეობა კვლავ მოწინავეთა რიგებში დგება.

როდესაც ჩაის კრეფის ჩამორჩენაზე ვლაპარაკობთ, ეს ამჟამად ყველაზე მეტად ეხება ბათომის რაიონს. ჩვენ არ ვიცით რითი ხსნის ამ ჩამორჩენას ს. კ. პ. (ბ) ბათომის რაიკომის მდივანი ამხ. ცქვიტინიძე, მაგრამ ერთი რამ ფაქტია; ბათომის რაიონს კრეფის წლიური გეგმა 580 ათასი კილოგრამის რაოდენობით შესრულებული აქვს 64,9 პროცენტით. იქვე მეზობლად ქობულეთის რაიონმა კი გეგმა 2.185 ათას კილოგრამის რაოდენობით შეასრულა 88 პროცენტით. ამინდი, ნიადაგის პირობები, პლანტაციები და ხალხები ამ რაიონებში სავსებით ერთნაირია. ცხადია, გეგმის შესრულებაში ამ გარღვევის მიზეზი ხელმძღვანელობაში, ადამიანებში უნდა ვეძიოთ.

წულუკიძის რაიონმა ჩაის კრეფის გეგმა შეასრულა 114,4 პროცენტით, იქვე მის მეზობლად გეგეჭკორის რაიონი კი თითქმის ერთიდაიმავე ადგილს ტკეპნის და წლიური დავალების შესრულებაში 69,5 პროცენტს ვერ გასცილებია.

შეიძლება ს. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომის მდივანმა ამხ. ბექვაიამ თქვას, ჩვენს რაიონს ჩაის კრეფაში სამჯერ და ოთხჯერ მეტი დავალება აქვს, ვიდრე წულუკიძისასო, მაგრამ ეს რა მოტივია! გეგეჭკორის რაიონს თუ მეტი დავალება აქვს, სამაგიეროდ მას 4-5-ჯერ უფრო მეტი პლანტაციები აქვს, და გეგმაც ხომ ეძლევათ არა ტერიტორიის რადიუსისა და მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით, არამედ პლანტაციების მდგომარეობისა და რაოდენობის მიხედვით.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ ჩაის კრეფაში ჩამორჩენის მთავარი მიზეზი სხვა რამ, კი არ არის, არამედ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების უხეირო მუშაობაა, ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ჯერ შესვენებისა და შემდეგ პანიკური იერიშობის პრაქტიკა ჩაის რაიონთა მთელ რიგ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციების მუშაობაში.

უკვე დადგა გადამწყვეტი დღეები ჩაის ფოთლის კრეფაში. ახლა უკვე აღარაა „მანევრირების" საშუალება — იმის იმედი, რომ ამ თვის ჩამორჩენა იმ თვეში დაიფაროს! —სადაცაა გურია — აჭარისა და სამეგრელოს მთები თოვლით დაიფარება, ბარში აცივდება და ჩაის ბუჩქი 6-7 თვით „მიიძინებს".

ეს გვავალებს სექტემბრის განმავლობაში დარჩენილი ყოველი დღე, ყოველი საათი მაქსიმალური დატვირთვით გამოვიყენოთ. გამოვიყენოთ ისე, რომ არცერთი მომწიფებული და ყრუ დუყი არ დარჩეს ბუჩქზე.

ჩაის ფრონტზე ბრძოლა მიმდინარე წელსაც ბრწყინვალე გამარჯვებით უნდა დასრულდეს — ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა აუცილებლად უნდა შესრულდეს, უნდა გვახსოვდეს, რომ სუბტროპიკული რაიონების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ღირსების საქმეა, — ჩაის კრეფის გეგმის შესრულება როგორც რაოდენობრივად, ისე მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

ჩაის კრეფა

(მიწსახკომის 10 სექტემბრის ცნობებით)

რაიონები	[illegible]	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათომისა	376.500	64,9
ქობულეთისა	1.922.190	88
გალისა	640.568	61.5
ოჩამჩირისა	384.808	84,6
მახარაძისა	3.382.137	84,2
ჩოხატაურისა	431.000	79.4
ლანჩხუთისა	1.612.956	80.6
სამტრედიისა	57.934	79,4
წულუკიძისა	103.352	114.4
ქუთაისისა	12.049	150,6
ტყიბულისა	106.583	91,9
ცხაკაიასი	343.333	79,8
გეგეჭკორისა	430.720	69,5
ზუგდიდისა	1.047.467	81,5
წალენჯიხისა	348.115	69,6
ჩხოროწყუსი	252.242	72,1
ხობისა	89.416	74,5
აჭარის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	172.050	90,5

წელს საქართველოში საბჭოთა მეურნეობებმა გამოკლებით უნდა მოიკრიფონ 14.600.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. 10 სექტემბრისათვის მოკრეფილი იყო სულ 11.728.280 კილოგრამი, წლიური გეგმის 80,3 პროცენტი. ჩაის კრეფის 5 თვის გეგმა კი შესრულებულია 81,2 პროცენტით.

სექტემბერში წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით უნდა მოიკრიფოს 3.868.721 კილოგრამი ფოთოლი. 10 სექტემბრისათვის მოკრეფილი იყო 651.655 კილოგრამი გეგმის 16,8 პროცენტი.

◇ ◇ ◇

ჭიათურის მარგანეცი

მარგანტრესტის დეკადური ცნობა

(1—10 სექტემბერი)

მადნის გამოღება: გეგმა 63972 ტ., ფაქტიური 72155 ტ.—112,8 პროც.
სასაქონ. პროდ.: გეგმა 42714 ტ., ფაქტიური 46146 ტ.—108 პროც.
მადნის გაზიდვა: მოთხოვნილია 3950 ვაგონი
მიწოდებულია 3076 ვაგონი
დატვირთულია 3076 ვაგონი

სსრ კავშირთან ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის დამოკიდებულების შესახებ

პრაღა, 14 სექტემბერი. ბრატისლავაში ბევრს ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაზე, როგორც აქ აცხადებენ, ჩეხოსლოვაკიის კარგი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან იმდენად საყოველთაოდ ცნობილია, რომ შემდგომ კომენტარიებს არ საჭიროებს. მაგრამ როგორც აქ აღნიშნავენ, მტკიცე ხდება რუმინეთის ურთიერთობაც საბჭოთა კავშირთან. გაზეთი „ლიდოვე ნოვინი" დღეს ათავსებს თავისი სპეციალური კორესპონდენტის რიპკის განცხადებას, რომელშიაც რიპკა აღნიშნავს, რომ „რუმინეთის ყველაზე ავტორიტეტული წყაროდან მას მიაწოდეს განაცხადი, ხმები რუმინეთის ახალი მოჩვენებითა ორიენტაციის შესახებ თავიდან ბოლომდე მოგონილიაო". რუმინეთის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი ისეთივე კეთილმეგობრული რჩება, როგორც დღემდე იყო. (საქტს).

აჭარის მოწაფეთა წერილი

ამხ. ლავრენტი ბერიას

ჩვენო მეგობარო, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

თქვენი სახელობის ბათომის ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარკის გახსნის დღეს — ჩვენ, აჭარის ბედნიერი, სტალინური ეპოქის ბავშვები, ჭაბუკები და ქალიშვილები გიგზავნით თქვენ — ბრძენი მასწავლებლის, უბედნიერესი ბავშვების საუკეთესო მეგობრის და მამის, დიდი **სტალინის** ნაცად მოწაფეს, აჭარის ხალხის მოამაგეს, აჭარის ბავშვების დიდ მეგობარს — მხურვალე პიონერულ სალამს!

ჩვენი პიონერული გული აღსავსეა სიამაყით, რომ ვცხოვრობთ უბედნიერეს ხანაში, ვართ დიდი სტალინური ქვეყნის შვილები, რომლებიც ვიზრდებით დიადი კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების კალთის ქვეშ, აღსავსე ჩვენი მამის, საუკეთესო მეგობრის, ბრძენი მასწავლებლის, დიდი **სტალინის** უსაზღვრო მზრუნველობით, ყურადღებით და სიყვარულით. ხალხთა დიდი ბელადის ეს უსაზღვრო მზრუნველობა და სიყვარული ჩვენ გვაღფრთოვანებს, გვიქმნის შესანიშნავ პირობებს იმისათვის, რომ ვიყოთ ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსეული შვილები, ნამდვილი გმირები. უსაზღვროა ჩვენი სიყვარული ლენინ-სტალინის პარტიისადმი, განუზომელია ჩვენი ერთგულება და თავდადება ჩვენი სოციალისტური, მშვენიერი სამშობლოსადმი, რომლის ბედნიერება, დიდება და სიძლიერე გამოსჭედა დიდმა **სტალინმა**. მან, ჩვენმა მშობლიურმა **იოსებ ბესარიონის-ძემ** ჩაგვინერგა ჩვენ სიყვარული სწავლისადმი, ხალისი სიცოცხლისა, შრომისა, თავდადება და ვაჟკაცობა.

ჩვენი ამოცანაა: სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა.

როდესაც ჩვენ წავიკითხეთ თქვენი მიმართვა დიდი სტალინური ქვეყნის მოსწავლეებისადმი, ჩვენს თვალწინ კვლავ გადაიშალა ჩვენი ბავშვობის, ახალგაზრდობის, მთელი ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი დღევანდელი დღე და კიდევ უკეთესი, კიდევ უმშვენიერესი მომავალი. ჩვენმა მშობლიურმა, ჩვენმა მამამ **იოსებ ბესარიონის-ძემ** მოგვცა ჩვენ ეს ბედნიერება, ეს უსაზღვრო სიხარული.

თქვენ — აჭარის ხალხის და მისი უბედნიერესი შვილების, ჩვენი ახალგაზრდობის განუყრელო მეგობარო და მოამაგევ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, შეგვიქმენით ჩვენ სამაგალითო პირობები მუშაობისათვის; თქვენი შეუნელებელი მზრუნველობით და დახმარებით აყვავებულ საბჭოთა აჭარაში დღეს მძლავრად შეჭრილია წიგნი, ათასობით ჩვენი ბავშვები, ჭაბუკები და ქალიშვილები ჩაბმული არიან სკოლებში და ემზადებიან იმისათვის, რომ მალე ჩადგნენ დიადი სოციალისტური მშენებლობის გმირთა რიგებში.

ჩვენი ახალგაზრდა მგოსანი ქალის სური პაპუნაშვილის სიტყვები:

სწავლობენ ახლა ტოლები ჩემი
მათი ოცნება და მათი ფიქრი
ისე ლაღი და მომხიბვლელი,
ვით ახალ ქვეყნის ახალი წიგნი

ნამდვილად გამოხატავენ ჩვენი ბედნიერი ქვეყნის უბედნიერესი ბავშვების დაწაფებას სწავლისადმი.

დღითიდღე მშვენიერდება და წინ მიიწევს ჩვენი საბჭოთა აჭარა; ის დაიფარა უამრავი სკოლებით, ქოხ-სამკითხველოებით, კლუბებით, მრავალი სხვა კულტურული დაწესებულებებით. მარტო წელს აშენდა 9 ახალი სკოლა, მათ შორის — 2 ბათომში; აჭარის დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში მეცადინეობს 27.000 მოწაფე, რომელთა შორის 40 პროც. ფრიადოსანია. ქალაქის სკოლებში სწავლობს 10.500 მოწაფე; აქედან 41 პროც. ფრიადოსანია, აჭარის ბავშვებმა 1935 და 1936 წელს დაამყარეს 27 რეკორდი საქართველოს და ამიერკავკასიის მასშტაბით ფიზკულტურის დარგში და 3 საკავშირო რეკორდი. ყველა ისინი — გარი მერკვილაძე, გ. ნარსიძე, ლ. ევგოროვა და სხვები — ფრიადოსნები არიან.

ფრიადოსნები ფეხლი ბეჟანიძე, მამუდ ბოლქვაძე, ფადიმე სირთაძე, მეხმუდ მემედზადე, თამარ ინასარიძე, ლელი თოთიბაძე, ასლან ტუღუში, აიკაზ არაქელიანი, ეთერ ზერმანიშვილი, ვასილ შამანიდი, ლარისა სესენკო, ევგენი მჟავია, სურენ მარქარიანი, ლიზა გავრილიდი, თინა მაჭარაძე, ანა ზაიდაო, ტატიანა სტახკევიჩ, ქუკური ფეხვიანიძე, თალიკო ლორთქიფანიძე, სულიკო სახიშვილი, ხინა გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვები ყოველმხრივ სამაგალითონი არიან სკოლებში. ჩვენს შორის მრავლად არიან მოცეკვავენი, ნორჩი მგოსნები, მხატვრები, მუსიკოსები, რომლებიც თავისი ოსტატობის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან. ასეთი მოცეკვავენი არიან: ფალიკე კიშილოღლი, ნაირე ჩერქეზადე, ენვერ ხაბაზოღლი, გიორგი სვანიძე, ანესტი პანაიოტიდი, ლ. კვაჭანტირაძე, ა. არაქელიანი, ე. ოვანიანი, თ. საიობეკოვა და სხვები. მხატვრები: ულვი ჯაფარიძე, ხასან აცამბა, ხასან ჩაქიროღლი, ნიაზ ხაჯიოღლი, ასლან მჟავანაძე, გიორგი ტუსკაძე, ვართან ჩიზმიზიანი, ლიდია ილიუშინა, მიშა ლესაგოროვი, გიორგი სალუქვაძე, ბელეცკი, ბერკა კონცელიძე და სხვ. მუსიკოსები: ლეილა ქუთოღლი, ფადიმე ზაქარიაძე, ნუნუ ლორთქიფანიძე, ფადიმე უსუფზადე, მიშა თიროშვილი, ტატიანა მანიაევა, ლევან დობორჯგინიძე, ი. ოგანოვსკაია, თ. ლორთქიფანიძე, ელენე დერკაჩი, მერაბ ფარცხალაძე, ანა ქეიგელუხის, სურენ მარქარიანი და მრავალი სხვა; ახალგაზრდა პოეტები: სკენდერ ხაჯიოღლი, ირაკლი ჩხიკვიშვილი, ბორის კოხიძე, ნიონ აირაპეტიანი და სხვ. მუშაობის კიდევ უკეთესად დაყენებისათვის ახლა ბათომში იხსნება სამხატვრო და ახალგაზრდა მოცეკვავეთა სტუდია.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ მთლიანად არ გვიმართლებია პარტიის და ხელისუფლების, ბრძენი **სტალინის** დიდი მზრუნველობა, თქვენი შეუნელებელი დახმარება და ყურადღება. ჩვენ ჯერ ყველანი არ ვართ ფრიადოსნები, მაგრამ ჩვენ ასეთები უსათუოდ ვიქნებით. თქვენმა მისალმებამ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, ჩვენი გული აღავსო სიხარულით და სიამაყით და ამავე დროს მიგვითითა იმაზე, რომ ჩვენ, დიდი სტალინური ქვეყნის ბავშვებმა ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ საუკეთესო მაჩვენებლებისათვის სწავლაში. ჩვენს შორის ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილები, ჯერ კიდევ ბევრი მოწაფე საშუალოდ სწავლობს.

თქვენს უდიდეს სიყვარულზე და მზრუნველობაზე, ჩვენ — აჭარის მოწაფეები, როგორც ერთი კაცი, გიპასუხებთ უსაზღვრო სიყვარულით ბედნიერი სოციალისტური სამშობლოსადმი, ბოლშევიკების დიადი პარტიისადმი, ბავშვების უსაყვარლესი მეგობრის დიდი **სტალინისადმი**:

გვიხარიან ახალ დროის, ამ ეპოქს რომ ვართ შვილი,
ჩვენზე ზრუნავს დიდი ქვეყნის მშენებელი ჯუღაშვილი.

სტუდენტი, აჭარელი მგოსანი ქალის ფატუმე დადიანის ამ სიტყვებში გამოთქმული სიხარულით ჩვენ გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, მტკიცე სიტყვას, რომ მუდამ ვიქნებით ფხიზელი და დაუნდობელი მტრის მიმართ, შეუნელებლად ვიმუშავებთ, ვიქნებით კიდევ უკეთესი ფიზკულტურელები და ვისწავლით ისე, რომ ჩვენმა მამამ დიდმა **სტალინმა** თქვას: „ყოჩაღ აჭარის ბავშვებო".

ჩვენ გაძლევთ მტკიცე სიტყვას, რომ ვიქნებით „ღირსი ჩვენი მამის, ბელადის, მასწავლებლის და მეგობრის — დიდი **სტალინის** ზრუნვისა და სიყვარულის".

გაუმარჯოს ჩვენს ლვიძლს, დიდ მასწავლებელს და მეგობარს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

გაუმარჯოს მოწაფეთა საუკეთესო მეგობარს, ჩვენს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

(განხილული და მიღებულია აჭარის 353 დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის 25.653 მოწაფის მიერ).

გადაფრენა ლოს-ანჟელოსი —მოსკოვი

სურათზე: საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ლევანევსკი (შუაში), შტურმანი ლევჩენკო (მარცხნივ) და მაიორი ურალოვი ჰიდროთვითმფრინავთან ენისეის ნაპირზე თხილამურების გამოცვლის წინ. ფოტო სოიუზფოტოსი

„ტაიმსი" გერმანიის ფაშიზმის შესახებ

ლონდონი, 14 სექტემბერი. გაზეთები, კომენტარიებს უკეთებენ რა გერმანიის ფაშისტთა ნიურნბერგის ყრილობას, ერთსულოვნად ილაშქრებენ გერმანელ ფაშისტთა პრეტენზიების წინააღმდეგ. „ტაიმსის" სიტყვით, ნიურნბერგის ყრილობის დამთავრება თავისუფლად ამოასუნთქვინებს ყველას, ვინც კი ევროპაში მშვიდობიანობის სასარგებლოდ მუშაობს. „ტაიმსი" აღნიშნავს, რომ გერმანიის პოლიტიკას ხელმძღვანელობენ არა დიპლომატები, არამედ ფაშისტთა ლიდერები. ყოველი უცხოელი მეთვალყურე, — სწერს „ტაიმსი"—აძლევს თავის თავს ასეთ კითხვას: გერმანიის საგარეო პოლიტიკისათვის ნამდვილი პასუხისმგებლობის რა წილი ეკისრება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს. ლაპარაკობს რა ჰიტლერის ანტისაბჭოთა გამოსვლებზე, „ტაიმსი" იხსენიებს ყოფილი კაიზერის ვილჰელმ მეორის განცხადებებს „ყვითელი საფრთხის" შესახებ. „გერმანიის ლიდერებს,—სწერს „ტაიმსი"—ძალიან ცუდად ესმით ინგლისელი ხალხის სულისკვეთება, თუ ფიქრობენ, რომ ინგლისი მზად იქნება ხელი შეუწყოს კომუნიზმის მოსპობას, რათა ფაშიზმი გახადოს ევროპის ბატონ-პატრონად". „ტაიმსი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად გერმანიის პოლიტიკა უწინარეს ყოვლისა მიმართულია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთდახმარების პაქტის წინააღმდეგ. „ყოვლად შეუძლებელია იმის ფიქრი,—სწერს გაზეთი,—რომ გერმანია რომელიმე მეზობლებს, რომლებსაც დადებული აქვთ შეთანხმება, განზრახვა ჰქონდეთ დაარღვიონ იგი აზლანდელ გარემოებებში".

შემდეგ, ეხება რა ჰიტლერის განცხადებას ურალის, ციმბირის და უკრაინის შესახებ, „ტაიმსი" აღნიშნავს, რომ საკმარისია მარტო ასეთი განცხადება, რათა სავსებით შევიგნოთ ის შეშფოთება, რომელსაც საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი განიცდიან, და გავამართლოთ მათი მზადყოფნა—დაეხმარონ ერთმანეთს (საქტს).

◇ ◇ ◇

ანრი ბარბიუსის ძეგლის გახსნა

პარიზი, 13 სექტემბერი. ბარბიუსის გარდაცვალების წლისთავი დღეს აღინიშნა იმით, რომ განსვენებულის პერ ლა შეზის სასაფლაოზე გაუხსნეს ძეგლი. ძეგლი აგებულია სსრ კავშირის მშრომელთა მიერ ურალის ქვისაგან.

ძეგლის გახსნის წინ საზეიმო სამგლოვიარო დემილით ჩაიარა დროშებით, გვირგვინებით და პლაკატებით პარიზის მუშათა ორგანიზაციებისა და მშრომელთა მრავალრიცხოვანმა პროცესიამ. იგი მძლავრ ანტიფაშისტურ დემონსტრაციად გადაიქცა. ძეგლთან საპატიო ყარაულში იდგნენ არაკის (ომის ყოფილ მონაწილეთა რევოლუციური ასოციაცია) სსრ კავშირის მეგობართა საზოგადოების, ომსაწინააღმდეგო და ანტიფაშისტური ორგანიზაციების, მწერალთა საერთაშორისო ასოციაციის და სხვ. წარმომადგენლები. (საქტს).

ამხ. კ. ე. ვოროშილოვი კიევის სამხედრო ოლქის სწავლების რაიონში

სწავლების რაიონი, 13 სექტემბერი. 13 სექტემბერს კიევის სამხედრო ოლქის ნაწილთა სწავლების რაიონში ჩამოვიდა თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. კ. ე. ვოროშილოვი საბჭოთა კავშირის მარშლების ამხ. ეგოროვისა და ბუდიონისთან ერთად. სადგურზე ამხ. კ. ე. ვოროშილოვს შეხვდნენ უკრაინის კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ნ. პოპოვი, კიევის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის პირველი რანგის მეთაური ამხ. იაკირი, კიევის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი, არმიის მეორე რანგის კომისარი ამხ. ამელინი, უკრაინის კ.პ.(ბ) ვინნიცის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ჩერნიავსკი, ვინნიცის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ტრილისკი.

მშრომელნი სიხარულით შეხვდნენ საყვარელ სახკომს. სადგურის მოედანზე შეიკრიბნენ მუშები, მოსამსახურეები, მოწაფეები, პიონერებმა ამხ. ვოროშილოვს და ამხანაგებს ეგოროვსა და ბუდიონის მიართვეს ყვავილები.

ამხ. ვოროშილოვი მიესალმა მშრომელთ და რწმენა გამოსთქვა, რომ ამ რაიონის პროლეტარები და კოლმეურნენი, სადაც სწავლება სწარმოებს, მზად არიან მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად დაიცვან ჩვენი დიადი სამშობლოს საზღვრები.

მიტინგის შემდეგ ამხ. ვოროშილოვი თანხლებ ამხანაგებთან ერთად გაემართა „საბრძოლო" მოქმედებათა რაიონში. (საქტს).

◇ ◇ ◇

მფრინავ იუმაშევის სარეკორდო გაფრენა სიმაღლეზე

მოსკოვი, 14 სექტემბერი. 11 სექტემბერს შუადღისას შჩელკოვოს აეროდრომის ბეტონის მოედნის ფილებთან, სწორედ იმ ადგილზე, სადაც 4 დღის წინათ ვლადიმერ კოკინაკის თვითმფრინავი იდგა, დაიდგეს პროფესორ ტუპოლევის კონსტრუქციის ოთხმოტორიანი მონოპლანი. თვითმფრინავს სტარტისათვის რომ ამზადებდნენ, მე-2 რანგის ინჟინერი კაპირსკი, პირველი რანგის ტექნიკოსი შევერდინსკი, მე-2 რანგის ტექნიკოსი კამენევი და მოტორისტი გეცი გულმოდგინედ სინჯავდნენ მის თვითეულ დეტალს. მეტად პასუხსაგები რეისი უნდა მოეხდინა ამ საუცხოო მანქანას.

სსრ კავშირის კოსარევის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის სპორტის კომისრები კრივისკი და ზოსიმა, მოწვეულნი იმისათვის, რომ დაედასტურებინათ ეს გაფრენა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის წესების მიხედვით, სწონიდნენ 250 ტომარაში შეფუთულ ტვირთს. შემდეგ მათ ერთხელ კიდევ შეამოწმეს თერმობაროგრაფები და დაპლომბვის შემდეგ თვითმფრინავის საბრტყელებზე ჩამოჰკიდეს ისინი.

ამავე დროს მფრინავი იუმაშევი, ბორტტექნიკოსი კალაშნიკოვი და ინჟინერი ბარბაუმოვი ამოწმებდნენ ჟანგბადის აპარატების მუშაობას.

17 საათსა და 45 წუთზე უკვე ყველაფერი გამზადებული იყო სარეკორდო გაფრენისათვის. მფრინავმა—მაიორმა იუმაშევმა და ბორტტექნიკოსმა — პირველი რანგის სამხედრო ტექნიკოსმა კალაშნიკოვმა დაიკავეს ადგილები თვითმფრინავის კაბინაში. აგუგუნდნენ მოტორები, მათგან გამოწვეულმა მძლავრმა ქარიშხალმა აიძულა ყველა მოშორებოდნენ თვითმფრინავს.

17 საათსა და 48 წუთზე „ანტ-6", ბეტონის მოედანზე მცირეგარბენის შემდეგ, ადვილად მოსწყდა მიწას და წავიდა სიმაღლეზე.

მიწიდან 2 ათასი მეტრის სიმაღლეზე თვითმფრინავი ღრუბლებში მოექცა.

დაახლოვებით 19 საათზე თვითმფრინავი მოულოდნელად გამოჩნდა აეროდრომის თავზე, გამოვიდა რა ღრუბლებიდან, რომლებითაც (ის) თითქმის ჰორიზონტამდე იყო დაფარული.

19 საათსა და 29 წუთზე იგი უკვე ბეტონის მოედანზე იდგა.

კაბინიდან გამოვიდა მფრინავი—მაიორი იუმაშევი.

სპორტის კომისრებმა გულმოდგინედ შეამოწმეს ხელსაწყოები და მათზე დადებული პლომბები და ხელმეორედ ასწონეს ტვირთი. ყველაფერი რიგზე იყო.

სპორტის კომისრებმა ბაროთერმოგრაფები დაუყოვნებლივ გაგზავნეს ზუსტი ინდუსტრიის საკავშირო ინსტიტუტში, სადაც ისინი საცივარ კამერებში მოათავსეს. 24 საათის შემდეგ, როგორც ამას საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის წესები მოითხოვს, ხელსაწყოები გახსნილ იქნა; გაფრენის სიმაღლე დადასტურებულია 8.102 მეტრი.

სიმაღლეზე 5 ტონა ტვირთით გაფრენის საერთაშორისო რეკორდი უკანასკნელ დრომდე ეკუთვნოდა ფრანგ მფრინავ კუპეს, რომელმაც, 1934 წლის 16 ივნისს თვითმფრინავ „ფარმან—221"-ით 6.649 მეტრ სიმაღლეს მიაღწია (საქტს).

◇ ◇ ◇

სსრ კავშირის ა. ვ. კოსარევის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის სასპორტო კომისიის 1936 წლის 14 სექტემბრის დადგენილება

მოისმინეს რა სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბის სპორტის კომისრების, ინჟინრების ამხ. მ. ს. კრივისკის და დ. ს. ზოსიმის ინფორმაცია და განიხილეს რა მათ მიერ წარმოდგენილი მასალები და ოქმები მფრინავ-მაიორ ა. იუმაშევისა და ბორტტექნიკოს—პირველი რანგის სამხედრო ტექნიკოს ა. კალაშნიკოვის სიმაღლეზე გაფრენის შესახებ, რაც მოხდა 11 სექტემბერს 17 საათსა და 48 წუთზე—19 საათსა და 29 წუთზე „ანტ—6" თვითმფრინავით, რომელზედაც დადგმულია 4 რეაას-რეაას ცხენისძალიანი მოტორი ამ—34 და რომელსაც 5 ათასი კილოგრამი „კომერციული დატვირთვა ჰქონდა.

დაადგინეს:

1. დადასტურდეს, რომ მფრინავმა—მაიორმა ა. იუმაშევმა ბორტტექნიკოს— პირველი რანგის სამხედრო ტექნიკოს ა. კალაშნიკოვთან ერთად მიაღწია აფრენის სიმაღლეს, რომელიც 8.102 მეტრს უდრის.

2. მფრინავი—მაიორ ა. იუმაშევის და ბორტტექნიკოსის—პირველი რანგის სამხედრო ტექნიკოსის ა. კალაშნიკოვის აფრენის შედეგი აღიარებულ იქნას სიმაღლის საკავშირო (ნაციონალურ) რეკორდად 5 ათასი კილოგრამი დატვირთვით „C" კლასით (სახმელეთო თვითმფრინავები).

3. წარუდგინოს სათანადო მასალები საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის პრეზიდიუმს, რათა დაადასტუროს და დაამტკიცოს ეს რეკორდი, როგორც საერთაშორისო რეკორდი „C" კლასით.

სსრ კავშირის ა. ვ. კოსარევის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის სასპორტო კომისიის თავმჯდომარე, ბრიგადის მეთაური მ. ლეიჩი.

მდივანი ლ. ლიუბარსკი.

ერთა ლიგის პლენუმის მომავალი გახსნის გამო

ჟენევა, 14 სექტემბერი. ერთა ლიგის წრეებში გადმოგვცემენ, რომ ერთა ლიგის მე-17 პლენუმის თავმჯდომარის პოსტზე, რომელიც 21 სექტემბერს გაიხსნება, ასახელებენ არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრს სააველრა ლამასს. ამ წინადადებას ეთანხმება ევროპის თითქმის ყველა მთავრობა, გარდა იტალიის მთავრობისა, რომელიც, როგორც გადმოგვცემენ, აყენებს ბელგიის პრემიერის ვან ზეელანდის კანდიდატურას. (ბელგიის პრემიერი თავმჯდომარეობდა ერთა ლიგის პლენუმის ივნისის სესიაზე, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სანქციების გაუქმების შესახებ).

სააველრა ლამასი არის ავტორი 1933 წლის პაქტისა იმის შესახებ, რომ არ იქნას აღიარებული აგრესიის ტერიტორიული შედეგები. ამ პაქტს ხელი მოაწერეს უმთავრესად ლათინური ამერიკის სახელმწიფოებმა.

ერთა ლიგის წრეებში მოელიან, რომ სააველრა ლამასი შეიტანს წინადადებას, რომ ამა თუ იმ სახით დამყარდეს კავშირი 1933 წლის პაქტსა და ერთა ლიგის წესდებას შორის. ამ აზრს უკვე გამოსთქვამდა ლათინური ამერიკის ზოგიერთი მთავრობა. ამ განზრახვას ხსნიან სააველრა ლამასის სურვილით მოვიდეს მომავალ პან-ამერიკულ კონფერენციაზე ბუენოს-აირესში დამაჯერებელი არგუმენტით ცალკე ამერიკული ერთა ლიგის შექმნის წინააღმდეგ. ლათინური ამერიკის ზოგიერთ სახელმწიფოს, რომელთა საგარეო პოლიტიკა უახლოვდება ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას, უკვე არაერთხელ გამოუთქვამს აზრი ისეთი ერთა ლიგის შექმნის სასარგებლოდ, რომელშიაც ამერიკის შეერთებული შტატები მუდმივად უმთავრეს როლს ითამაშებდა. სწორედ ეს არ სურს არგენტინის მთავრობას, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული ლიგის შექმნის მომხრეები მისი შექმნის აუცილებლობას ასაბუთებენ სწორედ იმით, რომ ამერიკის სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს 1933 წლის პაქტს (საქტს).

◇ ◇ ◇

მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობის მიმოხილვა

ჟენევა, 14 სექტემბერი. მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობის მიმოხილვაში, რომელიც დართული აქვს ერთა ლიგის სამდივნოს ყოველწლიურ ანგარიშს, აღნიშნულია, რომ მოხდა ერთგვარი გამოცოცხლება მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში. 1935 წელს მსოფლიო სამრეწველო წარმოება შეადგენდა 1929 წლის წარმოების 94,8 პროცენტს, გადიდდა რა 11,8 პროცენტით 1934 წელთან შედარებით და 22 პროცენტით—1933 წელთან შედარებით. „მაგრამ მსოფლიო სამრეწველო წარმოების გადიდება,— ნათქვამია მიმოხილვაში,—მოხდა უმთავრესად სსრ კავშირის ზრდის გამო, რომლის წარმოება გასული წლის დამლევს თითქმის ორჯერ მეტი იყო, ვიდრე 1929 წელს". მიმოხილვას თან ახლავს ცხრილი, რომელშიაც მთელი რიგი ქვეყნების სამრეწველო წარმოების დონე 1932 წელს (საშუალო წლიწადში), 1935 წლის ივნისში და 1936 წლის ივნისში ნაჩვენებია პროცენტობით 1929 წლის წარმოების დონის მიმართ. (საშუალო წლიწადში). პირველ ადგილზე სსრ კავშირია (საქტს).

მდგომარეობა ესპანეთში

ესპანეთის ფრონტებზე

მადრიდი, 13 სექტემბერი. გუშინწინ მოწინააღმდეგე შეეცადა შემოტევას ტალავერის მიმართულებით და რამდენადმე შეავიწროვა რესპუბლიკელთა ცენტრი. მდგომარეობა აღდგენილ იქნა. მოწინააღმდეგე თავს არ ანებებს ცდებს შეერთდეს იმ ძალებს, რომელნიც სიერა გვადარამას ხაზზე მოქმედებენ. ერთერთ ასეთ ცდას რესპუბლიკელები წარმატებით იგერიებდნენ უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში (საქტს).

ლონდონი, 14 სექტემბერი. ტალავერის რაიონში მდგომარეობა ისევ გამოურკვეველია. როგორც მთავრობის, ისე მეამბოხეთა ჯარები აცხადებენ, ამ ფრონტზე წარმატებებს მივაღწიეთო (საქტს).

პარიზი, 14 სექტემბერი. ესპანეთის სამხედრო სამინისტროს ცნობაში ნათქვამია, რომ ასტურიის დასავლეთ ნაწილში მილიციელებმა მოსპეს მეამბოხეთა კოლონა და ხელთ იგდეს 9 მორტირი, 7 ტყვიამფრქვევი და მრავალი საომარი მასალა, გარდა ამისა, ტყვედ წაიყვანეს 50 მეამბოხე.

სიგუენსას ფრონტზე მთავრობის ჯარებმა აიძულეს მეამბოხეთა კოლონები უკან დაეხიათ 2 კილომეტრით (საქტს).

სან-სებასტიანი მეამბოხე ფაშისტებმა დაიკავეს

ლონდონი, 14 სექტემბერი. მოხდა სან-სებასტიანის ევაკუაცია. ქალაქი მეამბოხე ფაშისტებმა დაიკავეს. მოსახლეობის უმრავლესობა და ქალაქის დამცველები წავიდნენ ბილბაოსა და სან-სებასტიანის დასავლეთით მდებარე სხვა ქალაქებში (საქტს).

ბასკ ნაციონალისტთა გაერთიანება რესპუბლიკელებთან

პარიზი, 14 სექტემბერი. ბაიონში მიღებული ცნობებით, ამჟამად ბილბაოში ბასკი ნაციონალისტები გაერთიანდნენ ესპანელ რესპუბლიკელთა ძალებთან და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არ დაუშვან, რომ ბილბაოს სან-სებასტიანის ბედი ეწიოს. (საქტს).

საჰაერო ბრძოლა ტალავერის სექტორში

მადრიდი, 14 სექტემბერი. გუშინ ტალავერის სექტორში ფაშისტთა და რესპუბლიკელთა გამანადგურებლებს შორის გაიმართა საჰაერო ბრძოლა. ესპანელი მფრინავი ორტიზი თავისი თვითმფრინავით მისდევდა ფაშისტთა გამანადგურებელს, რომელიც ტალავერის მხრიდან გამოჩნდა. რაღაც მიზეზით მფრინავ ორტიზს თვითმფრინავზე სროლა შეუწყვიტა ტყვიამფრქვევმა. მაშინ ორტიზმა თავისი თვითმფრინავი დააჯახა მოწინააღმდეგის აპარატს, ჩამოაგდო იგი და თვითონაც დაიღუპა. ფაშისტმა მფრინავმა მოასწრო თავის გადარჩენა პარაშუტით. იგი აღმოჩნდა უცხოეთის ქვეშევრდომი (საქტს).

ესპანელ ხალხთან სოლიდარობის ნიშნად

პარიზი, 14 სექტემბერი. ვენსენში (სენის დეპარტამენტი) გუშინ გაიმართა დიდი სასპორტო დღესასწაული, რომელიც მუშათა გაერთიანებულმა სასპორტო ფედერაციამ მოაწყო რესპუბლიკურ ესპანეთთან სოლიდარობის ნიშნად. დღესასწაულს რამდენიმე ათასი მაყურებელი დაესწრო.

ტულონში გაიმართა ესპანელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგი, რომელსაც 4 ათასი კაცი დაესწრო (საქტს).

◇◇

უცხოეთის ქრონიკა

○ მონტრეს კონფერენციაზე მიღებული კონვენციის ძალით, თურქეთის მთავრობამ 15 აგვისტოდან მთლიანად გაატარა სრუტეების ახალი რეჟიმი.

○ ინგლისს-თურქეთს შორის დაიდო ახალი სავაჭრო ხელშეკრულება.

○ ანრი ბარბიუსის ძეგლის გახსნაზე პარიზში 50 ათასმა მშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

○ ჰელსინგფორსში ხელი მოაწერეს ესტონეთ-ფინეთის საჰაერო კონვენციას.

○ მადრიდის მთავრობასთან შეთანხმებით დახვრიტეს კუნძულ მინორკას კომენდანტი სერჟანტი მარკესი, რომელსაც სხვადასხვა უწესობათა ჩადენა დაუმტკიცდა.

○ ბუქარესტში ხელი მოაწერეს პოლონეთ-რუმინეთის დროებით სავაჭრო ხელშეკრულებას.

○ გემ „იან რუძუტაკით" სტამბოლიდან საბჭოთა კავშირში გამოემგზავრა 56 თურქი სპორტსმენი.

◇◇

ქალთა საქალაქო მიტინგი, მიძღვნილი ესპანეთის ამბებისადმი

ლენინგრადი, 14 სექტემბერი. კონსერვატორიის დიდ დარბაზში შესდგა ქალთა საერთო-საქალაქო მიტინგი, რომელზეც შეიკრიბა დაახლოებით 2 ათასი მუშა-ქალი, მასწავლებელი, მოსამსახურე, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლები და დიასახლისები.

მხურვალე და მღელვარე გამოსვლებში მიტინგზე ერთი ძირითადი მოტივი გაისმის—დაეხმარონ თავისუფლებისათვის გმირულად მებრძოლი ესპანელი ხალხის ბავშვებსა და ქალებს.

ფაბრიკა „კრასნოე ზნამიას" სტახანოველი ქალი ამხ. გუდკოვა ამბობს:

— ჩვენი ფაბრიკის მუშა-ქალები ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ესპანეთის ამბებს. ყოველდღე სასადილოდ შესვენებისას ჩვენში იმართება საუბრები, გაზეთების კითხვა. ერთი დღის განმავლობაში ფაბრიკის საამქროებში ესპანეთის ბავშვთა და ქალთა დახმარების ფონდისათვის ჩვენ შევაგროვეთ 1.200 მანეთი.

— ბევრმა ჩვენმა მუშა-ქალმა უკვე გაიღო 10-15 მანეთი თითომ,—ამბობს ჟდანოვის სახელობის ქარხნის მუშა-ქალი, 52 წლის ამხ. კისელიოვა. გარდა ამისა, ჩვენ გადავწყვიტეთ ვიმუშაოთ ერთ დღის ესპანელ მუშა-ქალთა სასარგებლოდ.

— მე სიტყვას ვაძლევ,—ამბობს კიროვის ქარხნის მუშა-ქალთა სახელით ამხ. მარტინოვა,—რომ ჩვენ შორის არ მოიპოვება არც ერთი, ვინც დახმარებას არ გაუწევდეს ესპანეთის გმირ ქალებს.

მოწოდებით, რომ ესპანეთის ბავშვებსა და ქალებს დახმარების ხელი გაუწოდოთ, გამოდიან ლენინგრადის კონსერვატორიის პროფესორი ამხ. აკიმოვა, ქარხანა „კრასნი ტრეუგოლნიკის" სტახანოველი ქალი ამხ. მიტროვა და სხვ.

მიიღეს ესპანეთის გმირ-ქალებთან სოლიდარობის გამომხატველი რეზოლუცია (საქტს).

მცირე ანტანტის ქვეყნების საბჭოს კომუნიკე

პრაღა, 14 სექტემბერი. ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„გამოქვეყნებული კომუნიკე ბრატისლავაში მცირე ანტანტის მუდმივი საბჭოს კონფერენციის დამთავრების შესახებ აღნიშნავს, რომ ერთა ლიგის პოლიტიკა მცირე ანტანტის წევრ, სამი ქვეყნის პოლიტიკად რჩება. ეს ქვეყნები უერთდებიან ყველა ღონისძიებას, რომელიც კი ხელს უწყობს ერთა ლიგის განმტკიცებას. რეგიონალური შეთანხმებათა სისტემა ამ პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. მცირე ანტანტა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ლოკარნოს ხელშეკრულების გადასინჯვას. იგი ფიქრობს, რომ უშიშროების სისტემა, რომელიც დასავლეთით განისაზღვრებოდა, ვერ გადაწყვეტს ევროპის საყოველთაო უშიშროების პრობლემას, უშიშროებისას, რომელიც ესოდენ საჭიროა ყველა თვალსაზრისით. სამმა ქვეყანამ მათი საერთო პოლიტიკის შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება განამტკიცონ თავიანთი უშიშროება, რისთვისაც უფრო მჭიდროდ გააერთიანონ თავიანთი ძალები და ამავე დროს განაგრძონ მჭიდრო თანამშრომლობის ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან. მცირე ანტანტის წევრი სამი ქვეყანა არ ჩაერევა სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში და თავის მხრით მოელის, რომ არც სხვა ქვეყნები ჩაერევიან მათს შინაურ საქმეებში. იმ ინიციატივის თანახმად, რომელიც უკვე გამოიჩინა ჩეხოსლოვაკიის პრემიერმა გოჯამ, ისინი ეცდებიან გააღრმავონ ეკონომიური ურთიერთობა მცირე ანტანტის შიგნით და გააფართოვონ ეს ურთიერთობა ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებზე. მცირე ანტანტის ეკონომიური საბჭო თავის მხრით იმუშავებს ტექნიკურ საკითხებზე, რომლებიც მიმართულია ცენტრალური ევროპის ქვეყნების ამ ეკონომიური დაახლოვების განხორციელებისაკენ" (საქტს).

◇

არაბეთის უზენაესი კომიტეტის განცხადება

ლონდონი, 14 სექტემბერი. არაბთა უზენაესმა კომიტეტმა პალესტინაში ვერ მიაღწია გადაწყვეტილებას საკითხზე—შესწყდეს თუ არა არაბთა გაფიცვა. კომიტეტმა გადასწყვიტა 17 სექტემბერს მოაწვიოს მთელი პალესტინის ადგილობრივი ნაციონალური კომიტეტების საერთო კრება, რათა გადასწყვიტოს—თუ რა პასუხი გასცეს ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებს.

არაბთა უზენაესმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ გაფიცვაში თავისი გამოხატულება ჰპოვა სტიქიურმა პროტესტმა ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ. არაბები,—ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, — მოითხოვენ დამოუკიდებლობას და იმ მანდატის გაუქმებას, რომელიც ინგლისს აქვს მიცემული პალესტინაზე. ისინი არ ეთანხმებიან იმას თითქოს მანდატს ეწინააღმდეგებოდეს მათი მოთხოვნა—შეჩერდეს ებრაელთა იმიგრაცია და შესწყდეს მიწის გაყიდვა (საქტს).

არ გათეთრდების ყორანი...

ივ. ვაშაყმაძის თვალთმაქცობა

არასოდეს არ ყოფილა ის მტკიცე ბოლშევიკი, ხან მარჯვნივ წავიდოდა და, ხან „მარცხნივ", ხან კი მისი თვალსაზრისი წმინდა მენშევიკური იყო.

მერყეობდა, და ეს მერყეობა იმდენად ხშირი იყო, რომ ვერ გაიგებდით რა პოზიციაზე იდგა ეს კაცი. ბუნდოვანება და წინააღმდეგობათა შემცველი იყო მისი აზრები, წინადადებას ოპორტუნისტისათვის დამახასიათებელი ორაზროვანი სიტყვებით აშენებდა, თუ ვინმე დავას დაუწყებდა, ორმაგი წინადადება საშუალებას აძლევდა თავი დაეხსნა:

— თქვენ ვერ გაიგეთ ჩემი ნათქვამი, მე ასე კი არ მითქვამს—ასე ვთქვიო; ამიტომ მეცნიერ მუშაკთა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებისაგან ხშირად გაიგონებდით, ვანო ვაშაყმაძე ქამელეონსა ჰგავსო. ქამელეონი ხომ ფერს წარამარა იცვლის, ყოველ ადგილს ეგუება!

პარტია იშვიათი მზრუნველობით ეპყრობა კადრებს, თვალისჩინივით უფრთხილდება თვითეულ მათგანს, ზრდის, ასწავლის, არიგებს. ერთი სიტყვით—არაფერს ზოგავს იმისათვის, რომ ხალხის ერთგული, ლენინ-სტალინის იდეებისათვის თავდადებული მებრძოლი გამოსჭედოს.

და აი, ივანე ვაშაყმაძე იგზავნება მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში, ამთავრებს „რანიონს".

რით გადაუხადა ვაშაყმაძემ პარტიას, რა ერთგულება, კომუნიზმისათვის ბრძოლის რა ნიმუშები უჩვენა? ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულის ნაცვლად, კონტრრევოლუციონერი ტროცკის ყურმოჭრილი მსახური გახდა. „რანიონის" პარტორგანიზაციამ ვაშაყმაძე პარტიიდან გარიცხა. „დატრიალდა" ეს ტროცკისტი, გაძვრა-გამოძვრა, დასწერა „გულწრფელი" განცხადება ამას სთხოვა, იმას სთხოვა, დაღვარა როგორც იტყვიან ნიანგის ცრემლები, აღუთქვა პარტიას ერთგულობა და... აღადგინეს.

ამის შემდეგ თითქოს შეიძლებოდა გვეფიქრა ვაშაყმაძის რამდენადმე მაინც გამოსწორება. მაგრამ „რანიონის" დამთავრების შემდეგაც ვაშაყმაძის სავალი გზა მიხვეულ-მოხვეული დარჩა: თვალთმაქც ვაშაყმაძის ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფო პედინსტიტუტის დირექტორობის დროს ჰქონდა ტროცკისტული გამოსვლის რამდენიმე რეგისტრაცია. ინსტიტუტის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაცია ამ ნიადაგზე მას არაერთხელ შებრძოლებია.

უკანასკნელად ვაშაყმაძე ამიერკავკასიის ამხ. კიროვის სახელობის ინდუსტრიალური ინსტიტუტის დირექტორობდა. აქ მას, თევდორაძის სახით, პარტიულ ორგანიზაციის ნაკლებად ფხიზელი ხელმძღვანელი დახვდა და უფრო გაბედულად დაიწყო ტროცკისტულ-[illegible] მუშაობა. ამ გარემოებას ფარდა სავსებით აეხადა პარტდოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის დროს. გამოირკვა, რომ ინსტიტუტის პარტორგანიზაცია დანაგვიანებული იყო კონტრრევოლუციურ - ტროცკისტული ელემენტებით. გაუსწორებელმა ტროცკისტებმა ყაზაროვმა, მამფორიამ, ჰელიძემ, ბდელხანოვმა, სარქისოვმა, გონაძემ, კარაპეტიანმა, მუროვმა და სხვებმა აქ ნახეს საცხოვრო თავშესაფარი და გულთბილი დამოკიდებულება ინსტიტუტის ხელმძღვანელობის — ვაშაყმაძის მხრივ. ისინი სხვა სტუდენტებთან შედარებით გაცილებით უკეთეს, პრივილეგიურ პირობებში იმყოფებოდნენ.

ვაშაყმაძემ და პარტკომმა ყური არ ათხოვეს პარტიის წევრის ამხანაგ იართანოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ მოსამზადებელი კურსების გამგე ყაზაროვი ხალხის მტერია, კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტია, რომ მისი ამ სამუშაოზე გამოყენება არ შეიძლება. მათ საჭიროდ არ ჩასთვალეს ყაზაროვი შეესწავლათ. უფრო მეტიც: ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ყაზაროვი აქტიურად დაიცვა იმის შემდეგაც, რაც საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომმა გამოამჟღავნა ყაზაროვის კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტული ბუნება. ურცხვად აცხადებდნენ: ყაზაროვი არც წარსულში და არც ახლა პარტიის ღალატში შემჩნეული არ ყოფილაო. ხოლო როდესაც ყველაფერი ნათელი გახდა, ვაშაყმაძე შეეცადა პოლიტიკური პასუხისმგებლობა მოეხსნა და თვალთმაქცური ღრიანცელი მორთო.—რა ჩემი ბრალია, ყაზაროვი მე კი არ დამინიშნავს, ზემდგომმა ორგანოებმა გამომიგზავნესო. თვით ამ განცხადების ბუნება მოწმობს თუ რამდენად „მტკიცე ბოლშევიკია" ივანე ვაშაყმაძე.

უკანასკნელ წლებს რამდენიმე სტუდენტი შემჩნეული იყო კონტრრევოლუციურ გამოსვლაში: საათმშენებლო ფაკულტეტის სტუდენტების — დავითაანისა და ღვალაძის ხელები კლასობრივ მტრის საქმეს აკეთებდნენ. მათ უმსგავსო დანაშაულზე წაასწრეს, პარტორგანიზაციას წარუდგინეს. სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში სტუდენტებმა — ცაავამ და ყიფშიძემ აშკარა კონტრრევოლუციონერის ენით ილაპარაკეს. ესა და სხვა ასეთი აღმაშფოთებელი ამბები პარტკომის ყურადღებამდე მიიტანეს, მაგრამ ამაოდ, პარტიულმა კომიტეტმა აქედან ვერ გამოიტანა შესაფერი პოლიტიკური დასკვნები, ვერ აიყვანა ეს საკითხი პრინციპულ სიმაღლეზე, ვერ დარაზმა მთელი პარტორგანიზაცია ანტისაბჭოთა გამოხდომების წინააღმდეგ საბრძოლველად, დაკმაყოფილდა მხოლოდ უმნიშვნელო დამნაშავეთა მიმართ ზომების მიღებით.

ბოლშევიკური სიფხიზლის მოდუნებამ ამიერკავკასიის ინდუსტრიალური ინსტიტუტის პარტკომი იქამდეც კი მიიყვანა, რომ პარტდოკუმენტების შემოწმებისას ცალკეულ გაუსწორებელ ტროცკისტებს მამფორიას, გონაძეს და სხვებს დადებითი დახასიათება მისცა. ამ თვალთმაქცებმა მაინც ვერ მოახერხეს ლენინის რაიკომის მოტყუება, ისინი გარიცხნენ პარტიის რიგებიდან.

ფაქტები მეტყველებენ, რომ ინსტიტუტის დირექცია ივანე ვაშაყმაძის სახით არა თუ არ იბრძოდა ინსტიტუტში მოკალათებული ტროცკისტების წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, ხელს უწყობდა ინსტიტუტის დანაგვიანებას ტროცკისტული ელემენტებით და რაც მთავარია თავის თვალთმაქცური განცხადებებით, ცბიერი გამოსვლებით, ლამაზ ლამაზ სიტყვებით ანელებდა პარტორგანიზაციის რევოლუციურ სიფხიზლეს.

ვაშაყმაძემ სამუშაოზე მიიღო პარტიიდან გარიცხული ტროცკისტი სიფრთილაძე.

ვაშაყმაძე შეეცადა გადაელახა ფაკულტეტის დეკანის ამხ. არშბას წინააღმდეგობა და ინსტიტუტში კონტრრევოლუციონერი ფაილოძე აღედგინა.

ვაშაყმაძემ ყური არ ათხოვა სტუდენტთა სიგნალებს და ზომები არ მიიღო ლექტორ ბასილაიას წინააღმდეგ, რომელიც ლექციებზე კონტრრევოლუციურ - ტროცკისტულ შეხედულებებს ავითარებდა. ბასილაია მანამდე არ მოხსნა სამუშაოდან, სანამ სტუდენტებმა უარი არ განაცხადეს მისი ლექციების მოსმენაზე.

მაგალითები სხვაც ბევრია, მაგრამ ისიც კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ვაშაყმაძე ხელს უწყობდა ინსტიტუტის დანაგვიანებას ტროცკისტულ - ზინოვიევურ ელემენტებით გესტაპოს აგენტების ნაბოლარებით.

რამდენიმე სიტყვა ვაშაყმაძის პოლიტიკური ფიზიონომიის შესახებ. ვაშაყმაძე წარსულში თავის კონტრრევოლუციურ - ტროცკისტულ მუშაობას იხილავს, როგორც „უბრალო კავშირს" ტროცკისტებთან. ეს განცხადება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ვაშაყმაძე არ გათავისუფლებულა ტროცკისტულ ბაგაჟიდან. ვაშაყმაძის „იდეოლოგიისა" და მის „ფილოსოფიურ" კონცეპციას საფუძვლად უდევს დებულება, რომელიც მან განავითარა ლენრაიონის პარტაქტივის კრებაზე, ამხ. კუდრიავცევის მოხსენების გამო, (პურსა და სხვა პროდუქტებზე საბარათო სისტემის გაუქმების საკითხზე), ვაშაყმაძემ მაშინ განაცხადა: „ყოველ რევოლუციაში პირველხარისხოვან საკითხს პურის საკითხი წარმოადგენსო". კომენტარიები ზედმეტია! ამ „გენიოსური" ფორმულით ვაშაყმაძე ტროცკისტულად ამახინჯებს მარქს-ენგელს-ლენინ - სტალინის მოძღვრებას პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

უკანასკნელად კი, როცა პარტორგანიზაცია ტროცკისტულ - ზინოვიევურ ბანდის მიმართ, კიროვის სისხლში გასვრილი მკვლელების მიმართ სასამართლო განაჩენს იხილავდა, ვაშაყმაძე შეეცადა ტროცკისტულ ორგანიზაციის მახინჯი სახე მკრთალად ეჩვენებინა და განაცხადა: „ტროცკისტ - ზინოვიეველებს, რა თქმა უნდა, ისეთი ორგანიზაცია და მუშაობა არ ჰქონიათ, როგორც ისინი მოგვითხრობდნენ თავიანთ ჩვენებებში, რა თქმა უნდა, ეს მათ გაბერეს, რომ ამით წასვლის წინ თავიანთი ძალა ეჩვენებინათო" და სხვ. ამის საპასუხოდ ვაშაყმაძეს უნდა ვუთხრათ: რა თქმა უნდა, შენ ამით კვლავ კონტრრევოლუციურ-ტროცკიზმის თვალსაზრისზე დგახარ; რა თქმა უნდა სწორია რაიკომის დადგენილება პარტიიდან შენი გარიცხვის შესახებ; რა თქმა უნდა, შენი გამოსწორება აღარ შეიძლებოდა, როგორც არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა!

○

პარტიული დოკუმენტების გამოცვლამ რაიონის სხვა პარტორგანიზაციებშიც გამოამჟღავნა ტროცკისტი - თვალთმაქცები.

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის პარტორგანიზაციის ფხიზელ ყურადღებას შეუმჩნეველი არ დარჩა ტროცკისტი კ. სურკოვი. იგი მუშაობის დაწყებიდან მეოთხე დღესვე იქნა გამომჟღავნებული. ეს ტიპი ახლოს გაიცნეს და აღმოჩნდა, რომ იგი ლენინგრადის პარტორგანიზაციას გაურიცხავს აქტიური ტროცკისტული მუშაობისათვის. ამავე წარმოებაში ნიღაბი ჩამოგლიჯეს კომკავშირელ ფ. პარკონისაც, რომელიც სურკოვთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და ეწეოდა ტროცკისტულ მუშაობას.

„შრომის კომუნის" პარტორგანიზაციაში ლუდვიგ შიკო ავრცელებდა ანტისაბჭოთა შეხედულებებს, უარჰყოფდა (სტალინურ კონსტიტუციის განხილვის დროს) ჩვენი მოსახლეობის მატერიალურ - კულტურული დონის ამაღლებას. ამავე ორგანიზაციაში კომკავშირელი საფაროვი არსებითად შიკოს შეხედულებებს იზიარებდა.

26 კომუნარის მანქანათმშენებლობის ქარხანაში კომკავშირელი ს. შერბაკოვი ხმას ავრცელებდა ტროცკისა და კამენევის სასარგებლოდ, [illegible] კომკავშირელ[illegible] ტროცკისტი [illegible] ([illegible] პარტორგანიზაცია), ყველა [illegible].

გამომჟღავნებული და გარიცხული არიან აგრეთვე ლ. ალ. ლეჟავანიშვილი, ევგენი ვარლამოვი, მიხეილ მაჟუკოვი (რკინიგზის პარტორგანიზაცია) გიორგი ბეგიჯანოვი, მალვა ნათიშვილი და პარმენ ვაშაკიძე.

ტროცკისტული სიბინძურის გარდა, ზოგიერთ პირველად პარტორგანიზაციაში სხვა კატეგორიის ულირსი ელემენტებიც [illegible]; ყოფილი მენშევიკები, რომელთაც პარტიას დაუმალეს თავიანთი წარსული; ბანდიტები, რომელნიც სისხლის სამართლის სხვადასხვა სახის დანაშაულის გამო სასამართლოს მიერ იქნენ დასჯილნი, მტაცებლები, გამფლანგველები და სხვ. ასეთები იყვნენ; ნიკოლოზ გურალიშვილი, კ. ბოლქვაძე (ვაგონების შემკეთებელი ქარხანა). სიმონ ამაშუკელი, კონსტანტინე ლაცაბიძე (ორთქლმავალთა დეპოს პარტორგანიზაცია). გ. კერვემიძე (რკინიგზა) ა. ვაშაკიძე და ს. დევიძე.

ამის გარდა ლენრაიონის პარტორგანიზაციამ თავი გაითავისუფლა უქნარებისაგან, რომლებიც სრულიად მოსწყდნენ პარტიულ ცხოვრებას და რომლებზედაც არავითარმა დახმარებამ და აღმზრდელობითმა მუშაობამ ვერ იმოქმედა, ამ ნიადაგზე გარიცხულთა რიცხვი 28 კაცამდე აღწევს.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლა ლენინის რაიონში მჭიდროდ დაუკავშირეს პარტორგანიზაციების ორგანიზაციულ განმტკიცებას. უკეთესად მზადდება პარტიული კრებები, პარტგანათლების ქსელში შემცირდა გაცდენა. გაიზარდა შეთვისების ხარისხი, ამაღლდა კომუნისტების ავანგარდული როლი, საწარმოო აქტივობა. პარტიული ცხოვრება უფრო ცოცხალი, უფრო მიმზიდველი გახდა.

მაგრამ არის ნაკლოვანებანიც, რომელთა უმოკლეს დროში გადალახვა ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. პარტიული დოკუმენტების გამოცვლის დროს რაიკომის მდივანმა ამხ. თვალჭრელიძემ კომუნისტებთან საუბარში გამოარკვია, რომ მთელ რიგ პირველადს პარტორგანიზაციებს და ცალკეულ კომუნისტებს თავიანთ მუშაობაში სერიოზული დეფექტები აქვთ. ამ უარყოფითი მხარეების გამოსასწორებლად რაიკომის მდივნისაგან პრაქტიკული მითითებანი და რჩევა-დარიგება მიიღეს, მაგრამ პირველადი პარტორგანიზაციების საგრძნობ ნაწილს ჯერ კიდევ არ მოუხდენია მითითებათა რეალიზაცია.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლის შემდეგ კიდევ უფრო გავაძლიეროთ შემტევი სიფხიზლე, უნდა გვახსოვდეს რომ კლასობრივი მტრები, გესტაპოს აგენტების ნაბოლარები, ტროცკისტ-ზინოვიეველები, ამ ცოფიანი ძაღლების ლეკვები აქა-იქ ჯერ კიდევ არიან დარჩენილნი, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოვიცნოთ მტერი რაგინდ თვალთმაქცურადაც იყოს იგი შენიღბული და მუსრი გავავლოთ იმათ, ვინც ხალხის საყვარელი ბელადის, ჩვენი მამისა და მასწავლებლის — დიდი სტალინის მკვლელობას ამზადებდა. გავანადგუროთ ყველა ისინი, ვინც ჩვენი საყვარელი ბელადების გულში ჩასაცემად მზადიან მახვილს ლესავდნენ!

ფ. ტაბატაძე.

ანდრო გელოვანი

კონსტიტუციის პროექტი და სისხლის სამ. კოდექსი

სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის ბრძენი მესაჭის ამხ. სტალინის ინიციატივით და მისივე უშუალო ხელმძღვანელობით გამომუშავებულ სსრკ კონსტიტუციის პროექტი თავს უყრის მშრომელთა იმ გრანდიოზულ მიღწევებს, რომელთა ბადალი კაცობრიობის ისტორიამ არ იცის და არც შეიძლება ცოდნოდა. კონსტიტუციის ეს პროექტი თავისი ნამდვილად დემოკრატიული ხასიათით წინ უსწრებს მსოფლიოში დღემდე არსებულ ყველა ე. წ. დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციებს და მოქალაქეთა შრომის, დასვენების, მატერიალური უზრუნველყოფის, განათლების, პოლიტიკური თანასწორობის და სხვ. სახით აფორმებს მშრომელ ხალხთა ნამდვილ უფლებებს.

პროექტში გათვალისწინებულ ამ ჭეშმარიტად დემოკრატიულ უფლებებს, რომელთა რეალობა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული დეკლარაციების ცარიელი ფორმულებისა, უზრუნველყოფილია ჩვენი სახალხო მეურნეობას სოციალისტური ორგანიზაციით, სავსებით სამართლიანად შეეფარდება მოვალეობათა განსაზღვრული რიგი, რომელთა შეგნებულად შესრულება თვითეული საბჭოთა მოქალაქის ღრმა საზოგადოებრივ შეგნებას და პასუხისმგებლობას გულისხმობს.

სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების განმტკიცებისათვის ამ მხრივ მიღებული უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგები, რომლებიც აღმოცენებული არიან მშრომელთა მაღალი დისციპლინირების და სოციალისტური სამშობლოსთვის თავდადებულ - გმირული ბრძოლის საფუძველზე, ცხადია, არ ხსნას დღის წესრიგიდან, სათანადო შემთხვევაში, საბჭოთა კანონების შესრულებისათვის სახელმწიფოებრივი იძულების საჭიროებას. პირიქით, წინააღმდეგ ყოველგვარი ოპორტუნისტული თვითკმაყოფილებისა, ეს მოითხოვს რევოლუციური სიფხიზლის კიდევ უფრო გამახვილებას კლასობრივი მტრის ნამსხვრევებთან ბრძოლაში.

საბჭოთა კანონების სიწმინდის დაცვის საკითხის დაყენებისას არ შეიძლება განსაკუთრებული ინტერესი არ გამოიწვიოს კონსტიტუციის პროექტიდან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი იძულების ისეთი მნიშვნელოვანი ზოგიერთი საკითხის განხილვამ, როგორიც არის საბჭოთა სისხლის სამართალი.

საბჭოთა კავშირის ამჟამად მოქმედ 1924 წ. კონსტიტუციის მიხედვით, სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხები მოწესრიგებულია, როგორც საერთო - საკავშირო, ისე მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობით. ამის შესახებ 1924 წ. კონსტიტუცია ლაპარაკობს თავის პირველ მუხლში და კავშირის კომპეტენციას საზღვრავს მხოლოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობის საერთო საფუძვლების გამომუშავებით რაც შეეხება დანაშაულობათა ცალკე სახეების და მათთვის სოციალური დაცვის ღონისძიებების შეფარდების წესებს, ამას განსაზღვრავდა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონები. (ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფოებრივი და სამხედრო დანაშაულობანი). ამით აიხსნება არსებობა 1924 წ. გამოცემული სრულიად საკავშირო სისხლის სამართლის კანონისა სახელწოდებით: „საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები" და მის ნიადაგზე გამომუშავებული თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის ცალკე სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედება.

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამომწურავად უკვე ვეღარ უპასუხებს სოციალიზმის ქვეყნის ყველა მოთხოვნილებას და სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმის საკითხი ერთერთ გადაუდებელ და უმნიშვნელოვანეს ამოცანად ხდება.

ვნახოთ, რა მდგომარეობა იქმნება ახალი კონსტიტუციის პროექტის მიხედვით.

უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ახალი კონსტიტუციის პროექტის ძირითადი მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამიერიდან უნდა შეადგენდეს მხოლოდ საბჭოთა კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოების კომპეტენციის სფეროს, რაც ერთი საერთო საკავშირო სისხლის სამართლის კოდექსის გამოცემას გულისხმობს.

კონსტიტუციის პროექტის მე-14 მუხლში. ეს გარემოება გამოთქმულია შემდეგნაირად: „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა გამგებლობაში, მის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის ორგანოთა სახით, შედის... კანონმდებლობა სამართალწყობილებისა და სამართლის წარმოების შესახებ; სისხლის სამართლის და სამოქალაქო კოდექსები".

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ასეთი გაერთიანება მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით აუცილებელ და იმავე დროს პირველ პირობად უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმის წარმატებისათვის.

ეს მოთხოვნილება ნაკარნახევია ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ღრმა სოციალ - ეკონომიური ხასიათის ცვლილებებით, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მიღწევებით, ისეთი მიღწევებით, როგორიცაა: კავშირში შემავალ ეროვნებათა სახალხო მეურნეობის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და მის საფუძველზე მათი კულტურული და ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია: მთელი საბჭოთა მეურნეობის სწრაფი განვითარება საერთო-საკავშირო გეგმების—პირველი და მეორე ხუთწლედის გეგმების მიხედვით; სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებს შორის არსებული ურთიერთობის უფრო მჭიდრო ორგანიულ კავშირში მოყვანა და საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეთა კულტურული, პოლიტიკური და საერთო განათლების მაღალი დონე.

ვ. ი. ლენინი ყოველთვის ხაზს უსვამდა ერთიანი რევოლუციური კანონიერების დამყარების აუცილებლობას. ის ამბობდა: „თუ ჩვენ რათაც უნდა დაგვიჯდეს არ გავატარებთ მთელ ფედერაციაში ერთიანი კანონიერების დამყარების ელემენტარული პირობა, კულტურის არავითარ დაცვაზე და შექმნაზე ლაპარაკიც არ შეიძლებაო", რაც, თავისთავად ცხადია, არ უარჰყოფს საერთო კანონების გატარების შეფარდებას ადგილობრივ კონკრეტულ პირობებთან და გარემოებასთან.

აშკარაა, საერთო-საკავშირო სისხლის სამართლის კოდექსის შემოღება, რომელსაც კონსტიტუციის პროექტი მოითხოვს, სავსებით დროული და სამართლიანია. ეს გარემოება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს საბჭოთა კანონმდებლობას სისხლის სამართლის პოლიტიკის დარგში, რომელიც პროლეტარულ სახელმწიფოს საერთო პოლიტიკის ნაწილია, და მით საშუალებას მისცემს საბჭოთა იუსტიციის მუშაკებს უნაკლო მომსახურება გაუწიონ პარტიასა და ხელისუფლებას მიერ დასახულ სამეურნეო, კულტურული და საყოფაცხოვრებო ამოცანების შესრულებისათვის ბოლშევიკურ ბრძოლას.

სისხლის სამართლის მომავალმა კოდექსმა ჩვენს ახალ გამარჯვებათა უზრუნველყოფის მიზნით არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეანელოს სასჯელის სიმკაცრე და მთელი თავისი სისასტიკით უნდა გაილაშქროს იმათ წინააღმდეგ, ვინც საყვარელი, დიდი ბელადის სტალინის მეთაურობით შექმნილ ნათელ ცხოვრებაში ბნელეთის მოციქულად გამოდის და ისტორიის ჩარხის უკუღმა დაბრუნებას ლამობს.

კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ - ზინოვიევური ბანდიტებისათვის გამოტანილი პროლეტარულ სასამართლოს ღირსეული განაჩენი, რომელიც მრავალმილიონიანი მშრომელი მასების მრისხანე გულისწყრომას გამოხატავდა, გვაკარნახებს კიდევ უფრო გავამახვილოთ კლასობრივი სიფხიზლე.

ამ მხრივ მომავალი სისხლის სამართლის კოდექსი თავის ყურადღების ცენტრში მოაქცევს საბჭოთა კავშირის ეკონომიური საფუძვლის—მეურნეობის სოციალისტური სისტემას, სოციალისტური საკუთრების დაცვას ყველა ჯურის მავნებლებისა, გამფლანგველებისა და სხვა ბოროტმოქმედებისაგან. კონსტიტუციის პროექტის მე-131 მუხლში ნათქვამია: „საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება არის წმინდა და ხელშეუხებელი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო", ამიტომაც, ამ წყაროს განავებისაკენ მიმართული მოქმედება უნდა შეადგენდეს რევოლუციური კანონიერების მხრივ განსაკუთრებული სიძლიერით დათრგუნვის საგანს. 1932 წ. 7 აგვისტოს კანონი, რომელიც „წარმოადგენს რევოლუციური კანონიერების საფუძველს ახლანდელ დროში" (სტალინი) და მთელი თავისი შინაარსით მიმართულია საკოლმეურნეო და კოოპერატიული ქონების დაცვისა და სოციალისტური საკუთრების განმტკიცებისაკენ, საკავშირო სისხლის სამართლის კოდექსში უაღრესად მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს.

სისხლის სამართლის კოდექსი ამავე დროს განსაკუთრებული სიფრთხილით მოეპყრობა საბჭოთა მოქალაქის იმ დიადი საპატიო მოვალეობის შესრულებას, რომელსაც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაცვა წარმოადგენს. საბჭოთა კავშირში, სადაც ხალხთა ბედნიერებით და სიხარულით აღსავსეა ცხოვრება, სამშობლოს ღალატი განსაკუთრებულ გასაკიცხ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. კონსტიტუციის პროექტის მე-133 მუხლი ამ გარემოებას ასე გამოსთქვამს: „სამშობლოს დაცვა არის სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმინდა მოვალეობა. სამშობლოს ღალატი ფიცის გატეხვა, მტრის მხარეზე გადასვლა, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისათვის ზიანის მიყენება, ჯაშუშობა უცხო სახელმწიფოს სასარგებლოდ — ისჯება კანონის მთელი სისასტიკით, როგორც ყველაზე მძიმე ბოროტმოქმედება". აქედან ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს სოციალისტური სამშობლოს მოღალატეთა წინააღმდეგ მიმართულ 1934 წ. 8 ივნისის დეკრეტს და რა როლს შეასრულებს ის მომავალი სისხლის სამართლის კოდექსის გამომუშავების საქმეში.

სტალინური კონსტიტუციის პროექტის შესაბამისად მომავალი სისხლის სამართლის კოდექსი აუცილებლად და კიდევ უფრო მაღალ ფორმებში მოაწესრიგებს აგრეთვე ისეთი მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლას, როგორიცაა განთავისუფლებული შრომის ქვეყანაში შრომის მიმართ ბოროტი დამოკიდებულება. საბჭოთა კავშირში, სადაც ლიკვიდირებულია ადამიანის ექსპლოატაციის ყოველგვარი შესაძლებლობა და შრომა დამამცირებელ და მძიმე მოვალეობიდან, როგორსაც ის კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოადგენს, გადაქცეულია სახელისა და გმირობის საქმედ, სავსებით სამართლიანია ისეთი სოციალისტური პრინციპის მოქმედება, რომელიც გამოთქმულია კონსტიტუციის პროექტის მე-12 მუხ.: „შრომა სსრ კავშირში წარმოადგენს შრომისუნარიანი თვითეული მოქალაქის მოვალეობას, პრინციპის მიხედვით: „ვინც არ მუშაობს, ის არ სჭამს".

სსრ კავშირში განხორციელებულია სოციალიზმის პრინციპი—„თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს მისი შრომის მიხედვით".

კონსტიტუციის პროექტის ამ პრინციპის ცხოველმყოფელობას სავსებით ადასტურებს ის სახელოვანი ბრძოლა, რომელსაც პირნათლად ეწევიან საბჭოთა კავშირის საუკეთესო ადამიანები ფაბრიკებში, ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, ხელოვნებასა და მეცნიერებაში. ისინი ამაღლებენ თავიანთ კვალიფიკაციას და უნერგავენ სტახანოვურ მეთოდებს. ყოველივე ეს მოითხოვს შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის კიდევ უფრო მეტი ენერგიით ბრძოლას, ხოლო ამ დარგში ყოველგვარი შეგნებულად ჩადენილი დანაშაულებრივი მოქმედება, როგორც სოციალისტური წარმოების ნაყოფიერების დამცემი, გამოიწვევს სისხლის სამართლის რეპრესიულ ზომებს.

1933 წ. 8 დეკემბრის კანონი, მიმართული ცუდი ხარისხის პროდუქციის გამომშვებთა წინააღმდეგ, ამ დარგში შემდგომი ბრძოლის გაძლიერებისათვის დიდი მნიშვნელობის და სსრკ სისხლის სამართლის კოდექსისათვის სახელმძღვანელო დადგენილებაა. იგივე ითქმის [illegible], როგორც უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლაზე და მშრომელთა თანასწორი შრომის პირობების განუხრელად დაცვაზე.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია აგრეთვე საბჭოთა სისხლის სამართლის სასჯელის გამახვილების აუცილებლობა საზოგადოებრივად ისეთი საშიში ქმედობის ჩამდენთა წინააღმდეგ, როგორიც არიან ჩვენი ქვეყნის ცალკე მოქალაქეთა მკვლელები.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც ახლა „კადრები სწყვეტენ ყველაფერს" და სადაც თვითეული სასარგებლო მუშაკისადმი ყოველთვის ისეთივე მზრუნველობა უნდა იქნეს გამოჩენილი, როგორსაც კარგი მებაღე იჩენს თავისი საყვარელი ხეხილისადმი, სისხლის სამართლის კოდექსმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს სასჯელის უმაღლესი ღონისძიების გამოყენება იმათ წინააღმდეგ, რომლებიც, ამოქმედებულნი თავიანთი ქვენაზრახვებით, სოციალისტურ საზოგადოებას ხელიდან აცლიან ყველაზე უფრო ძვირფას კაპიტალს—ადამიანს.

სოციალისტური კადრებისათვის განსაკუთრებული ზრუნვა მოითხოვს აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედების გაძლიერებას ახალგაზრდა თაობის დაცვის მიზნით, რისთვისაც აუცილებლობას წარმოადგენს ალიმენტების გადაუხდელობის შემთხვევაში სასჯელის გაძლიერება. აბორტის აკრძალვის და სხვ. შესახებ საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1936 წ. 27 ივნისს მიღებული დადგენილება, რომლის მე-31 მუხლში ლაპარაკია ალიმენტების არგადამხდელთა სისხლის სამართლის წესით დასჯის შესახებ, ამ მხრივ მეტად საგულისხმოა.

ძლიერი და ჯანსაღი მომავალი თაობის ზრდით დაინტერესებული ჩვენი კანონმდებლობის ამ ნათელ ფონზე სამარცხვინოდ მოსჩანან ფაშისტური კანონები ისეთი „სოციალური დაცვის ღონისძიებათა" გათვალისწინებით, როგორიცაა ფაშისტური გერმანიის კანონი დასაჭურისების შესახებ და ფაშისტების 1933 წ. ივნისის დადგენილება იძულებითი სტერილიზაციის (ე. ი. გამრავლების უნარის წართმევის) შესახებ.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მომავალი საკავშირო სისხლის სამართლის კოდექსი, ისე როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, თავისუფალი იქნება „[illegible]" პრინციპისაგან. პირიქით, დამნაშავეთა შრომის სოციალისტური ჩვევების საფუძველზე გარდაქმნა, რომელიც ჩვენი დამსჯელ ორგანოების მუშაობის უმნიშვნელოვანეს მხარეს წარმოადგენს, კიდევ უფრო ფართო ნიადაგზე იქნება დაყენებული, რადგან ამის განხორციელების სრულ შესაძლებლობას სავსებით უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკა.

ასე დგას ზოგადად მომავალი საკავშირო სისხლის სამართლის კოდექსის საკითხი.

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშემოდგომო თესვა კალმის წრიპინმა შესცვალა

წითელ-წყაროს (სიღნაღის რაიონი) მტს-მა, შემოდგომით 5.147 ჰექტარი უნდა მოხნას, მაგრამ 5 სექტემბრის ცნობებით, მოხნულია 3.180 ჰექტარი, რაც გეგმის 61,5 პროცენტს შეადგენს. საშემოდგომო ხვნის დამთავრების ვადად დაწესებულია 20 სექტემბერი, მაგრამ ეს სამუშაო შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

5 სექტემბრის შემდეგ ხვნის ტემპები კიდევ უფრო კლებულობს. მთელ რიგ სატრაქტორო ბრიგადებს დროულად არ აწვდიან საწვავ მასალას. საცაა საშემოდგომო თესვა მასობრივად უნდა გაჩაღდეს, მაგრამ სატრაქტორო ბრიგადირების: ეგორა ჯავაშვილისა და ალ. ბექაურის 7 ტრაქტორი საწვავის უქონლობის გამო უქმად დგას. არხილოს-კალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. ქავთარაძე და მემინდვრეობის ბრიგადირი შ. ყაჯარაშვილი სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ და არ ზრუნავენ დროულად მიაწოდონ სატრაქტორო ბრიგადას საწვავი მასალა. კმაყოფილდებიან მხოლოდ აქტების შედგენით და კალმის წრიპინში ტყუილუბრალოდ იკარგება დრო. აი ნიმუში:

„1936 წლის 7 სექტემბერს, დილის 3 საათზე წითელწყაროს მტს-ის დირექტორმა შ. გოგიშვილმა თანადასწრებით უფროს მექანიკოსის ა. ბროძელისა, ეკონომისტ შ. თორთლაძისა და სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტების: ს. თარხნიშვილისა, ბექაურისა, დ. ხარხელაურისა, ს. მეხრიშვილისა, მ. წიკლაურისა, შ. ყარალაშვილისა, დ. წიკლაურისა, ი. გაზაშვილისა შევადგინეთ ეს აქტი:

ქვემო-ქედის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში გაიგზავნა წითელწყაროს მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადა 7 ტრაქტორის შემადგენლობით. ჩვენი შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ტრაქტორები უქმად დგანან 5 სექტემბრის დილის 11 საათიდან საწვავი მასალის უქონლობის გამო. კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა სატრაქტორო ბრიგადა არ მოამარაგეს საწვავი მასალით, კოლმეურნეები მიმაგრებული არ ჰყავთ სატრაქტორო ბრიგადაზე დასახმარებლად, გაუწმენდავი და დაბალახიანებულია სახნავ-სათესი ფართობები, რაც ხელს უშლის ტრაქტორების ნორმალურ და ხარისხიან მუშაობას. მთელ სატრაქტორო ბრიგადაზე მხოლოდ ერთი მზარეული ჰყავთ მიმაგრებული“.

ამხ. გოგიშვილი ამ აქტის შედგენით დაკმაყოფილდა.

ტრაქტორები 8 სექტემბერსაც უქმად იდგნენ. ასეთივე მდგომარეობაა სხვა კოლმეურნეობებში, მაგალითად, კოლმეურნეობა „წითელ-ვარსკვლავში“ (ზემო-ქედის სასოფლო საბჭო) მესამე სატრაქტორო ბრიგადას 2 დღე არ უმუშავნია.

2 სექტემბერს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მტს-ის დირექტორის მოადგილე (ანგარიშსწორების დარგში) ამხ. აკაკი გურგენიძე შეპირდა, რომ ის მტს-ის ტრანსპორტით ჩაუტანდა კოლმეურნეობას საწვავ მასალას, მაგრამ გურგენიძეს ეს რატომღაც გადაავიწყდა და სატრაქტორო ბრიგადებს მთელი დღეები გაუცდათ.

თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, საშემოდგომო თესვის ვადაზე შესრულებას წითელწყაროს მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში ჩაშლა მოელის.

აქტების შედგენა საქმეს არ შველის. საჭიროა მტს-ის დირექციამ ოპერატიულად, ყოველდღიურად და არა „საერთოდ“, უხელმძღვანელოს საშემოდგომო თესვას. ზემოხსენებულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა ბოლო უნდა მოუღონ ხვნა-თესვისადმი უგულებელო დამოკიდებულებას.

გრ. გრიგოლია

◇ ◇ ◇

სანიმუშოდ მოვემზადოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის

საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის ბიუროს და რაიაღმასკომის პრეზიდიუმის გაერთიანებულმა სხდომამ 15 ივლისს მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი პირუტყვის გამოზამთრების სანიმუშოდ ჩატარებისათვის. მთელმა რიგმა სასოფლო საბჭოებმა და კოლმეურნეობებმა ამ მხრივ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს.

სოფ. ნაშოვარის კოლმეურნეობის ხელმძღვანელნი დროულად შეუდგნენ პირუტყვის ბინებისათვის საშენი მასალის დამზადებას. ააშენეს კულტურული ბოსელი 200 სული პირუტყვისათვის. დამზადებულია 1379 ცენტნერი უხეში საკვები (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ჯიშიაშვილი, ფერმის გამგე — შ. გელაშვილი).

სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სამი თვალი სალორე ააშენეს ჯიშიანი ღორებისათვის. აშენებულია სამოცი ტონის ტევადობის ორი სასილოსე ორმო, შეძენილია სილოსის საჭრელი მანქანა „უნივერსალი“, დამზადებულია საჭირო რაოდენობის ხე-ტყის მასალა პირუტყვის ბინების შესაკეთებლად. დაჯავშნულია 971 ცენტნერი უხეში საკვები. განსაზოგადოებული პირუტყვი სანიმუშოდ არის მოვლილი. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ამხ. გ. ბოჭორიშვილი, ფერმის გამგე შ. ქიტიაშვილი. ასეთივე მდგომარეობაა კაგანოვიჩის, ბერიას, ორჯონიკიძის, ტელმანის სახელობის საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმებში.

მაგრამ ყველგან ასე როდია. სოფ. ბუდიონოვკის სასოფლო საბჭოში, ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობაში უხეში საკვების დაახლოვებით 10 პროცენტი გაბნეულია, პირუტყვის ბინებისათვის საშენი მასალა ჯერაც არ დაუმზადებიათ.

დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში ორი წელია, რაც დაიწყეს სალორის მშენებლობა დღემდე არ დაუმთავრებიათ. აშენებული კედლები და მომარაგებული ხე-ტყის მასალა ლპება. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. გოგუნავა და ფერმის გამგე ვ. ჭუმბურიძე ამ მდგომარეობის აღსაკვეთად ზომებს არ იღებენ.

მ. შალიკაშვილი.
ზოოტექნიკოსი

◇ ◇ ◇

კინო სკოლის სამსახურში

ჩვენს სკოლას ბევრი რამ მოეთხოვება. ჩვენს მოწაფეებს უფრო ფართო და მტკიცე ცოდნა უნდა ჰქონდეთ სასწავლო დისციპლინებში. ამისათვის საჭიროა მეტი ყურადღება სასკოლო ცხოვრების ისეთი მომენტებისადმი, რომლებიც აინტენსივებენ პედაგოგიურ პროცესს, და, მეტ ეფექტიანობას სძენენ მასწავლებლის დახარჯულ ენერგიას (კაბინეტები, ლაბორატორიები, სასკოლო ბიბლიოთეკები და სხვ). სკოლის ერთ-ერთ ასეთ დამხმარე საშუალებას კინო წარმოადგენს.

კინო უნდა ჩაითვალოს სასკოლო მუშაობის აუცილებელ პირობად. კინოს შეუძლიან დიდი სამსახური გაუწიოს ყველა ძირითად სასწავლო დისციპლინას, განსაკუთრებით კი პოზიტიურ დისციპლინებს. აქ სადაც ჯერჯერობით საკმაოდ არ არის მოგვარებული სასკოლო კაბინეტების საქმე, სადაც სწავლების თვალსაჩინოება ჯერ კიდევ დაბალ დონეზე, კინო დაუფასებელი იქნება სკოლისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგი ბუნებისმეტყველების სწავლებაში. აქ სკოლას შეიძლება მიეცეს ისეთი ფილმები, სადაც მოწაფეთა თვალწინ გაივლის, ვთქვათ, მთელი მცენარეული სამყაროს საფეხურებრივი განვითარების სურათი, ფერთავე ცხოველთა სამყაროს სურათი. პოპულარულად და დამაჯერებლად შეიძლება იყოს მოცემული მასალა ბიოლოგიურ კანონზომიერებათა დედაარსის გასაგებად. მთელი რიგი მეტად საინტერესო ფილმების მოცემა შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ვიყენებთ ამ კანონზომიერებას სოციალისტურ მშენებლობაში, როგორც მეცხოველეობაში, ისე მემცენარეობის დარგში. რასაკვირველია, ყველაფერი ეს შეიძლება იყოს მოცემული მუზეუმის სახითაც, მაგრამ სათანადო ფილმების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ შეუძლიანთ მომსახურება გაუწიონ მთელი რესპუბლიკის სკოლებს.

ჩვენ ავიღეთ სასწავლო დისციპლინათა ერთი დარგი — ბუნებისმეტყველება. ნამდვილად კი კინოს შეუძლიან დახმარება გაუწიოს ყველა სასწავლო დისციპლინას.

რასაკვირველია, საქმე ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ეს ფილმები უნდა წარმოადგენდნენ სახელმძღვანელოში მოთავსებული სასწავლო მასალის უბრალო ილუსტრაციას. ასეთი ფილმები — ვერ გაამართლებდნენ იმედებს. ეს სურათები მეცნიერულ - პოპულარული ცოდნის მიწოდებასთან ერთად ანგარიშში უნდა უწევდნენ მოწაფეთა ემოციონალობასაც, ცხადია, სათანადო ზომიერების დაცვით.

რა აქვთ დღეს ამ მხრივ ჩვენს სკოლებს? — ძლიერ ცოტა! ბევრ სკოლას აქვს კინო-მოწყობილობა, მაგრამ სახკინმრეწვი ვერ პოულობს შესაფერ ფილმებს, რსფსრ-ის სკოლებს ამ მხრივ ბევრად უფრო კარგი პირობები გააჩნიათ. საქართველოს სახკინმრეწვს ჰმართებს, რომ მოძმე რესპუბლიკის მდიდარი გამოცდილება გამოიყენოს და ჩვენი სკოლის მუშაობის მეტ ეფექტიანობას ხელი შეუწყოს.

პ. მეტრეველი.

ვარციხის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და აგროპერსონალის

მიმართვა

მევენახეობის ყველა საბჭოთა მეურნეობის მუშებსა და აგროპერსონალს

ძვირფასო ამხანაგებო!

ხალხთა დიდი ბელადის ამხ. სტალინის ინიციატივით სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანეს დადგენილება საქართველოში მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების შესახებ. ეს დადგენილება კოლმეურნეებთან ერთად ფრიად სერიოზულ ამოცანას გვაკისრებს ჩვენ, მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებსა და მთელ კოლექტივს.

საბჭოთა მეურნეობა უნდა იყოს მაგალითის მიმცემი რაიონის კოლმეურნეობებისათვის ამ დადგენილების ურყევად გატარების საქმეში. როცა ეს დადგენილება ჩვენთან დამუშავდა, ყველას სიხარულით გული უტოკავდა. დაწესებული გრძელვადიანი კრედიტი ახლადგაშენებული ვენახისათვის, სადამამზადებლო ფასების გადიდება, ამ ფასების დადგენა ჩაბარებული ყურძნის ჯიშისა და ხარისხის მიხედვით — ყველაფერი ეს დიდ სტიმულს ჰქმნის მევენახეობა-მეღვინეობის აღმავლობისათვის, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 25 აგვისტოს პლენუმზე, დიდი ბელადის სახელოვანმა მოწაფემ, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა მტკიცე ხელმძღვანელმა ამხ. ლ. ბერიამ განაცხადა:

„საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის. იგი საპატიო ამოცანას გვაკისრებს—საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა სუფრას შევძინოთ კარგი სუფრის ღვინო და შამპანური, ყურძნის კარგი პროდუქცია, ერთიორად გავადიდოთ ყურძნის მოსავალი; ეს გადაწყვეტილება უდიდეს ფაქტორს წარმოადგენს საქართველოს კოლმეურნეთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის“.

ამხ. ლ. ბერიას ამ მითითების განხორციელებას ჩვენ მტკიცედ მოვკიდეთ ხელი.

ვარციხის (ბაღდადის რაიონი) საბჭოთა მეურნეობაში ვენახი 77 ჰექტარზეა გადაჭიმული. მას მოვლა-პატრონობას არ ვაკლებთ. წელს სამჯერ გავთოხნეთ და 6-ჯერ შევწამლეთ. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ვერ დავიკავებთ ყურძნის მაღალ მოსავალს. მაგრამ მთელ ჩვენს მუშაობას იქით წარვმართავთ, რომ ერთიორად გავადიდოთ მოსავალი მაღალ აგროტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვით, შრომის ორგანიზაციითა და თვითღირებულების შემცირებით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული ხარისხოვანი ყურძნისა და ღვინის დამზადების აუცილებლობა. ჩვენ ამას კარგად ვგრძნობთ. საქმე ის არის, რომ წინათ კრეფისა და დამზადების დროს სხვადასხვა ჯიშისა და ხარისხის ყურძენს ერთმანეთში ვურევდით. განა შეიძლება ლაპარაკი ხარისხოვანი ღვინის დამზადებაზე, თუ უზრუნველყოფილი არ არის ყურძნის მაღალი ხარისხი? ცხადია, არ შეიძლება.

ჩვენ მოგვეპოვება ყველა საშუალება ყურძნისა და ღვინის კარგი პროდუქციის გამოშვებისათვის. მეურნეობა უზრუნველყოფილია კვალიფიციური მუშათა და სპეციალისტთა კადრებით. ღვინის გადამუშავების პროცესი მექანიზებულია. მარმონიეზისა და მობილეს სისტემის წნეხები, ელექტროტუმბოები და მრავალი სხვა საჭირო უახლესი ტიპის იარაღი მოგვეპოვება. ჩვენი ცენტრალური სარდაფის ნახვა დაგარწმუნებთ, რომ ღვინის გადამუშავება საუკეთესო პირობებში ხდება.

წელს წარმატებით ჩავატარეთ ვაზის მყნობა. კარგად გვაქვს შეგნებული, რომ თუ ჯანსაღი სანამყენე მასალა არა გვაქვს, ისე შეუძლებელია ჯანსაღი ვაზის მიღება. უკვე აღვნიშნეთ, რომ ვენახიც კარგად დავამუშავეთ. ამის გამო საქმიწსახკომმა წელს მარტში გადმოგვეცა გარდამავალი დროშა. დროშა ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობიდან წამოვიღეთ და არც გავუშვებთ ხელიდან.

მაგრამ მიღწევებთან ერთად გვაქვს ნაკლოვანებანიც. საწარმოო თათბირებზე, საერთო კრებებზე ვაშკარავებთ ამ ნაკლოვანებებს და ვიბრძვით, რათა განუხრელად განვახორციელოთ ამხ. ლ. ბერიას მითითება, რომ უახლოეს დროს ჩვენი საბჭოთა მეურნეობა გადავაქციოთ ნამდვილ სანიმუშო მეურნეობად.

დგება მეტად პასუხსაგები სამუშაოს პერიოდი მევენახეობაში. ოქტომბრის პირველ რიცხვებში მასობრივად გაჩაღდება ყურძნის კრეფა. დიდი მუშაობა მოგველის.

ხარისხოვანი ღვინის დამზადებას სწორედ ახლა ეყრება საძირკველი. ყურძნის წესიერად მოკრეფა ამის ერთერთ ღონისძიებას წარმოადგენს.

ვარციხის მეურნეობის მთელი კოლექტივი ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვიწვევთ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ყველა საბჭოთა მეურნეობას და ვკისრულობთ:

1. მიმდინარე წლის ყურძნის მოსავალი ავიღოთ უდანაკარგოდ. ღვინის მაღალი ხარისხის მისაღწევად ყურძენი მოკრეფისას შევარჩიოთ ჯიშებისა და ხარისხის მიხედვით და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ ყველა ჯიშის ყურძნის ერთმანეთში არევა. შამპანურისა და სუფრის ჯიშების ყურძენი მოვკრიფოთ განსაზღვრულ სიტკბოებისა და სიმჟავიანობის ზუსტად დაცვით.

2. „სამტრესტის“ სისტემის მიმღებ პუნქტებზე (ბაღდათი, ფერსათი, წითელხევი, ვანი, ობჩა), რომლებსაც ჩვენ ვემსახურებით, და მეურნეობის ცენტრალურ მიმღებ პუნქტზე მუშაობა სანიმუშოდ დავაყენოთ. პუნქტები სავსებით უზრუნველვყოთ ტარით, საწნეხით, საქაჩით, ჭაჭის აუზით და საჭირო კვალიფიციური კადრით.

3. მიმღებ პუნქტებზე ყურძენი კონტრაქტანტებისაგან მივიღოთ ჯიშობრივად დახარისხებული ცალკე სასოფლო საბჭოების მიკრორაიონების მიხედვით, ხოლო დამზადებული ყურძენი გადავამუშაოთ სარდაფებში ცალკეული სასოფლო საბჭოების, ჯიშისა და ხარისხის მიხედვით.

4. დავამზადოთ 20.000 დეკალიტრი მაღალხარისხოვანი „ძველშავის“ ჯიშის ყურძენი შამპანურის მასალის მისაღებად. მთლიანად გამოვიყენოთ ყურძნის ნარჩენი ჭაჭა. გადამუშავების შემდეგ ერთ ფუთ ჭაჭაზე მივიღოთ საშუალოდ 4° არაყი (ყურძნის მოსავლის 70 პროცენტი მეურნეობაში მუშავდება განუწყვეტელ მომქმედ წნეხზე). ყოველგვარი ნარჩენიდან გადამუშავებული ნედლეულის სიმჟავე მივიღოთ 40 და მეტი პროცენტი.

5. თითო ფუთ ყურძენზე მივიღოთ 25,5 გირვანქა სუფთა ღვინო ნაცვლად 24-სა, სუფრისა და შამპანური ღვინის მთელი რაოდენობა დავადუღოთ საფუარის წმინდა კულტურებზე. ღვინის გაფილტვრისას დანაკარგი 1 პროცენტიდან შევამციროთ ნახევარ პროცენტამდე.

6. ყურძნის მოსავლის შემდგომ გასადიდებლად 1937 წელს ვაზის მთელ ფართობში შევიტანოთ სასუქი და მთლიანად გამოვრგოთ გამეჩხრებული პლანტაცია. ვაზის სანერგიდან უმაღლეს ხარისხოვანი ნამყენი მივიღოთ სულ მცირე 70 პროცენტისა 42 პროცენტის ნაცვლად.

7. შრომის ნაყოფიერება გავადიდოთ 12 პროცენტით. მეურნეობიდან მიღებული ყურძნის თვითღირებულება შევამციროთ 5 პროცენტით.

8. წლის დამთავრებამდე მეურნეობის მუშები და სპეციალისტები უზრუნველვყოთ კარგი, სუფთა და სინათლიანი ბინებით. მუშათა კულტმომსახურების გასაუმჯობესებლად შევიძინოთ სასულე ორკესტრი და ხმოვანი კინო.

ამ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას ვთხოვთ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას, მიწსახკომს და „კომუნისტის“ რედაქციას.

ვარციხის მევენახეობა-მეღვინეობის მუშათა კოლექტივის მინდობილობით:

ამხ. სტახანოვი ამოწმებს ამხ. პოზდნიაკოვის სანგრევ ჩაქუჩს.

მკითხველებმა განსაჯონ თვითონ

არ შეიძლება გულგრილად სწერო მშრომელთა საჩივრებისადმი დამოკიდებულების იმ ფაქტებზე, რომლებიც ჩვენმა რეიდმა **თელავისა** და **გურჯაანის** რაიონების სხვადასხვა ორგანიზაციაში გამოარკვია.

რა ფაქტებზეა ლაპარაკი?

მიმდინარე წლის 13 ივლისს „კომუნისტის“ რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომლის ავტორები ამხელდნენ მთელ რიგ უმსგავსობას თელავის ტყემრეწვმეურნეობაში. რედაქციამ ეს წერილი (№ 0325) ზომების მისაღებად გადაუგზავნა სატყეო მრეწველობის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოში. დრო საკმაო გავიდა, მაგრამ სამმართველოს ხელმძღვანელობამ საჭიროდ არ ჩათვალა გამოხმაურებოდა ამ ფრიად სერიოზულ სიგნალს. მაშინ წერილი გადაეცა რესპუბლიკის პროკურორს. რესპუბლიკის პროკურორის უფროსმა თანაშემწემ ამხ. ლომაძემ, ეს წერილი 7 აგვისტოს გადაუგზავნა თელავის რაიპროკურორს შემდეგი მიმართვით: „გევალებათ შეამოწმოთ წერილში აღნიშნული ფაქტები და შედეგი გვაცნობოთ მიმოწერის დაბრუნებით ორი დეკადის ვადაში“. თელავის რაიპროკურატურამ წერილი №0325 მიიღო 11 აგვისტოს. როგორ მოიქცა პროკურორი ამხ. ს. ძამუკაშვილი? მონახა სხვა სიგნალები ტყემრეწვმეურნეობიდან, დაუმატა ეს უკანასკნელიც და... საიმედო ალაგას შეინახა. ასე უძრავად იყო ეს სასწრაფოდ შესასრულებელი საქმე 28 აგვისტომდე, სანამ ჩვენ მოვაგონებდით ამ მასალის არსებობას. როცა პროკურორის მოვალეობის ამსრულებელს გამომძიებელ სისაურს ვკითხეთ თუ რატომ არ შესრულდა ამხ. ლომაძის განკარგულება 2 დეკადაში ძიების დამთავრების შესახებ, მან მშვიდად გვიპასუხა: ვერ მოვიცალეთო.

კიდევ ერთი ფაქტი თელავის რაიპროკურატურის მუშაობის დასახასიათებლად: მას 7 ივნისს მიუვიდა „კომუნისტის“ რედაქციისაგან გამოუქვეყნებელი წერილი № 2375. წერილი შეეხებოდა თელავის მტს-თან არსებული თავდაცვა-ავიაქიმის საბაზო საქმეს. საქმე გამომძიებელს გადაეცა, მაგრამ გამოძიებას დასასრული არ უჩანს.

მშრომელთა საჩივრებისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულების ფაქტებს წავაწყდით თელავის რაიაღმასკომშიც. აქ „კომუნისტის“ რედაქციისგან გასული წლის 27 ნოემბერს მიიღეს გამოუქვეყნებელი წერილი № 1987. იგი შეეხება თელავის შემნახველ სალაროს. წერილი გადაუციათ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარისთვის. ამ უკანასკნელს მასზე დაუწერია რეზოლუცია: „გამოიყოს კომისია სამი კაცის შემადგენლობით“. მეტი ამ საქმეზე არაფერი გაკეთებულა. რაიაღმასკომს ეს ამბავი არ გახსენებია. ცხადია, რედაქციისათვისაც არაფერი უცნობებიათ.

მიმდინარე წლის 19 ივნისს რაიაღმასკომმა „კომუნისტისაგან“ მიიღო წერილი № 2630. იგი განათლების განყოფილებისთვის გადაუცია და შემდეგ ამ წერილის ბედით არ დაინტერესებულა. განათლების განყოფილებაში ეს წერილი არ აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, ის დაიკარგა რაიაღმასკომის თავმჯდომარესა და განათლების განყოფილების გამგეს შორის.

გურჯაანის რაიპროკურორმა ამხ. კეშელავამ ჩვენი რედაქციისაგან მიმდინარე წლის 10 თებერვალს მიიღო წერილი № 582. წერილში ლაპარაკი იყო საკოლმეურნეო დოვლათის განიავებაზე გურჯაანის რაიონის სოფ. შაშიანის კოლმეურნეობა „მნათობში“. პროკურორს ეს წერილი რაიმიწგანისათვის გადაუცია. თითქმის 8 თვის შემდეგ, 1 სექტემბერს, პროკურორმა კეშელავამ ჩვენი რეიდის მონაწილეს განუცხადა: „პასუხს ველითო“. არ ვიცით, კიდევ რამდენ ხანს გასტანს ეს ლოდინი..

ვფიქრობთ, რომ მოყვანილი ფაქტები უკომენტაროდაც ნათელია. ჩვენ ისინი გამოგვაქვს მკითხველთა ფართო სამსჯავროს წინაშე და მივაქცევთ მათზე სათანადო ორგანოების ყურადღებას.

რეიდის მონაწილენი: **ვახ. ჯანგულაშვილი, დ. ძებისაშვილი, ლ. ბაილაშვილი, ვ. სუხიტაშვილი, ქ. სიმონოვი, ხრ. არუთინოვი, არჩ. თვალიაშვილი, შ. მაჭავარიანი, არჩ. ბეციაშვილი, ალ. ბიაშვილი, ან. ყურუა.**

ექსტერნატი

დ. დეკანოზიშვილი

მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში მრავალი საჭირბოროტო საკითხი გვაქვს მოსაგვარებელი; მათ შორის საკმაოდ მნიშვნელოვანია ექსტერნატის საკითხი.

ცნობილია, რომ საექსტერნო კურსებზე თავს იყრის ახალგაზრდობა, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით ჩამორჩა სკოლას და განზრახვა აქვს მიიღოს საშუალო განათლების ცენზი.

მაგრამ თუ რამდენად ცუდადაა გვაქვს საქმე საექსტერნო კურსებზე, ამას ნათლად მოწმობს თუნდაც კურსების მსმენელებითა და მასწავლებლებით დაკომპლექტების წესი, მუშაობის ხარისხი და შედეგი.

საექსტერნო კურსებზე ღებულობენ ახალგაზრდობას, რომელსაც დამთავრებული აქვს შვიდი კლასი ან ნამყოფია საშუალო სკოლის რომელიმე კლასში. უმეტეს შემთხვევაში მათ ორი ან მეტი წლის წინათ მიუტოვებიათ სკოლა და ის ცოდნის მარაგიც, რაც გამოყოლილი ჰქონდათ სკოლიდან თავის დროზე, საკმაოდ დავიწყებიათ. ამრიგად, 8 თვის განმავლობაში, რა ხანსაც გრძელდება საექსტერნო კურსებზე მეცადინეობა, მათ მეხსიერებაში უნდა აღიდგინონ გავლილი მასალა იმდენად, რომ შესაძლებელი გახდეს გადასვლა ახალ მასალაზე, რომელსაც ნორმალურად ორი წლის განმავლობაში გადიან სკოლებში (მე-8, 9, 10 კლასებში).

რასაკვირველია, ასეთი უზომო ნახტომი მიუწვდომელია არა მარტო ჩვეულებრივი ნიჭისა და მოწადინების, არამედ ფენომენალურად ნიჭიერი და, ასე ვთქვათ, სწავლისათვის თავდადებული ახალგაზრდობისთვისაც.

მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ საექსტერნო კურსებზე ასეთ პირობებში მეცადინეობა მეტად რთულია და პასუხსაგები საქმეა, ხელმძღვანელობით და კადრებით დაკომპლექტება კურსებისა უპასუხისმგებლოდ ხდება. ასეთ კურსებზე მეტ წილად ისეთი მასწავლებლები ინიშნებიან, რომლებიც მეტისმეტად დატვირთული არიან მუშაობით და ფიზიკური შესაძლებლობა არ მოეპოვებათ, რომ ჯეროვანი ხელმძღვანელობა გაუწიონ საქმეს, არ გააცდინონ გაკვეთილები, შესაფერი ხარისხით ჩაატარონ მუშაობა მოსწავლეებთან.

ამ დიდი საქმისადმი ასეთ არასერიოზულ მიდგომას, რა თქმა უნდა, უარყოფითი შედეგები მოაქვს. ჩვენს ხელთ არის უტყუარი დოკუმენტალური მასალა, რომელიც აშკარად მოწმობს ამ საქმის უნუგეშო მდგომარეობას.

გასული თვის შუა რიცხვებში საქართველოს ერთერთ დიდ ქალაქში—ქუთაისში მოხდა საექსტერნო გამოცდები, რომელზედაც გამოცხადდა 94 კაცი. წერითი მუშაობის შედეგებმა ქართულ ენასა და მათემატიკურ საგნებში, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: დადებითი ნიშნებით შეფასებულ ნამუშევართა რაოდენობა ამ საგნებში არ გადასცილებია 14%-ს.

უკეთესი არ იყო ზეპირი გამოცდის შედეგებიც. წარმოუდგენელი უვიცობა გამოიჩინეს გამოცდაზე მოსულმა ახალგაზრდებმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ დიდი უმრავლესობა სრულიად არ იცნობს არც ჩვენს კლასიკოსებს, არც ჩვენს თანამედროვე მწერლებს. უცხოეთის მწერლებზე ხომ ლაპარაკიც მეტია.

განსაცვიფრებელია, რომ ამდენ ხალხში თითქმის არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომ წაკითხული ჰქონოდა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას და ე. ნინოშვილის ერთი - ორი ნაწარმოება, გარდა იმისა, რაც პროგრამის მიხედვით უნდა ესწავლა. მდგომარეობას კიდევ ის აუარესებს, რომ პროგრამით გათვალისწინებულ ნაწარმოებებსაც მოსწავლეები იცნობენ არა დედნით, არამედ... უმსგავსად შეთითხნილი და ერთმეორისაგან გადაწერილი კონსპექტებით. რომლებიც ხელიდან ხელში გადადის მოსწავლეთა შორის. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის უვიცობა, რომელიც გამოიჩინეს გამოცდაზე მოსულმა მოსწავლეებმა. აი მაგალითები:

ილიას შემოქმედებაში ეროვნული მოტივების მატარებელ ნაწარმოებთა ნიმუშებად მოსწავლემ დაასახელა... „კაცია-ადამიანი?!“ და „ოთარაანთ ქვრივი“. მასვე არ სცოდნია, თუ ვის კალამს ეკუთვნის ლექსი „გაზაფხული“, რომლის ტექსტიც გააცნეს გამოცდის დროს.

მეორე მოსწავლის ღრმა რწმენით, ილიას კალამს ეკუთვნის— „სტუმარ-მასპინძელი“ და „ელისო“.

მესამის აზრით, სიტყვები: „აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები“ და სხ. ეკუთვნის ალ. ჭავჭავაძეს, რომელიც ამ სიტყვებით შეჰხარის აყვავებულ სამშობლოს.

აი კიდევ ახალგაზრდა, რომელიც ირწმუნება, რომ „ალუდა ქეთელაური“ რომანია.

მეხუთეს ეჭვი არ ეპარება, რომ შოლა ლომთათიძე თანამედროვე მწერალია და ახლაც მოღვაწეობს.

უვიცობის იშვიათ ნიმუშებს იძლევიან მოსწავლეები ქართული ენის გრამატიკაშიც.

სიტყვიერების თეორიის „ცოდნის“ სიღრმეს ნათელჰყოფს შემდეგი მაგალითები:

„ლირიკა არის მეცნიერება, მოთხრობა, როდესაც იწერება გასაგებად, მდაბიოდ, რომელიც ლექსები სწერს უმთავრეს საკითხებზე“.

„ჰუმორისტული ნაწარმოები ისეთ ნაწარმოებს ეწოდება როდესაც მოქმედება კოლდება“.

„ელეგია“ არის ილია ჭავჭავაძის ლექსი (ესეც გასაკვირველია, რომ იცის!)

„სატირა არის სამგლოვიარო ნაწარმოები“.

„დრამა ეწოდება ისეთ ნაწარმოებს, სადაც სიკვდილია აღწერილი“.

თვალი გადავავლოთ ჩანაწერებს ისტორიისათვის განკუთვნილ რვეულებში, საიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლეთა ცოდნა, მართლწერა, ორთოგრაფია, პუნქტუაცია და სხვ.

პირველი ინტერნაციონალი დაარსება. 48 წ. რევოლიუციების შემდეგ ევროპის ძირითად ქვეყნებში ფეხს იკიდებს კაპიტალიზმი უპირველეს ყოვლისა სავაჭრო კაპიტალიზმი, რომელსაც თან ახლა მისი დამმლეილი წინაღმდეგობა, საფლავი კრიზისი და მესაფლავეები“.

„იტალიის ქალაქების აჯანყება. ფლორენციაში 15 საუ. მეორე ნახევარში სახელიდობ 1378 წ. მოხდა მათი აჯანყება ჩონპის გაბატონებული კლასი იძულებული შეიქნა რომ გამოეცა ლოზუნგა ცეცხლითა და მახვილით ფლორენციაში ჩონპის აჯანყება“.

წინადადებები და ცალკე სიტყვები:

„გლეხთა მდგომარეობა ვარესდებოდა“, „სათავესი თავიან კანტიტატებს აყენებდენ“, „პარტის 15-ტი ყრილობა“, „სამღვდელოვება“, „ლეოპოლიტანია“.

ახალგაზრდებმა არ იციან, როდის იყო პარიზის კომუნა, ვინ იყო და როდის ცხოვრობდა ნაპოლეონი, როდის ჩამოყალიბდა წითელი არმია, როდის გაუქმდა ბატონყმობა ჩვენში და რუსეთში.

აი ახალგაზრდა, რომელიც ამბობს, ყირიმის ომი 1907 წ. დაიწყოო.

მეორე დარწმუნებულია, რომ სამოქალაქო ომი რუსეთში 1904 წ. დაიწყო. მისი ამხანაგის აზრით კი, რუსეთში ბატონყმობა გააუქმა ნაპოლეონმა, რომელმაც გამოსცა.. კომუნისტური მანიფესტი.

ერთ-ერთი მოსწავლე ფიქრობს, რომ სენიორები ვასალების ხელქვეითები იყვნენ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა 1917 წელს იქნა მიღებული.

მეორე მოწაფე ახალი ეკონომიური პოლიტიკის შინაარსს შემდეგნაირად „განმარტავს“. „ახალი ეკონომიური პოლიტიკა ნიშნავს ძველი ეკონომიური პოლიტიკის გაქარწყლებას და ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლას“.

მისივე ფიქრით, „მეორე ინტერნაციონალს უნდოდა მსოფლიო ომი პროლეტარულ რევოლუციად გადაექცია; მას უნდოდა თავი გამოეჩინა და სახელი გაეთქვა ამ ომში“.

გზა და გზა ირკვევა აგრეთვე გეოგრაფიის „ცოდნაც“.

ფლორენცია და ვენეცია საფრანგეთის ქალაქებია ყოფილა. ქალაქის სახელწოდება ფლორენცია რატომღაც—ფროვენციად გამოითქმის, ნილოსი—ლილოსად, ნეაპოლიტანია—ლეოპოტანიად.

ასეთივე მდგომარეობაა მათემატიკის ცოდნის მხრივ.

ყოველივე ზემოხსენებული სტენოგრაფიული სიზუსტით არის აღნუსხული. ამიტომ არ შეიძლება არ დაიბადოს კითხვა: ვის სჭირდება ასე ბოროტად წარმართვა ამ საქმისა, რომელიც უდიდესი ნივთიერი და მორალური ზარალის მეტს არაფერს აძლევს არც ამ ახალგაზრდობას და არც, მით უმეტეს, ჩვენს ქვეყანას.

ეს საქმე აუცილებლად უნდა მოგვარდეს და ბოლო მოეღოს ახალგაზრდობის დამახინჯებას.

რაიონებში

მოწინავე ბრიგადა

მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ერთერთ მოწინავე ბრიგადად მეხუთე ბრიგადა ითვლება. ბრიგადა თვალისჩინივით უვლის 8 ჰექტარ ჩაის პლანტაციას. წარმატებით სრულდება ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა. ჩაის კრეფის სტახანოველები არიან: კოლმეურნე ლუსინე დოხნაძე (დღეში 30-35 კილოგრამს ჰკრეფს), ქეთევან ვასაძე (დღეურად 40-45 კილოგრამს ჰკრეფს), თამარ მარგალიტაძე და ელენე ჩავლეიშვილი. მამაკაცებიდან ჩაის კრეფაში თავი ისახელეს ი. მარგალიტაძემ, კ. დოხნაძემ, პ. ჩავლეიშვილმა, შ. მარგალიტაძემ და ვ. ვასაძემ.

კლ. ჩავლეიშვილი.

ჩვენი კოლმეურნეობა მალე მილიონერი გახდება.

ძიმითის (მახარაძის რაიონი) კოლმეურნეობა ჩაის კრეფის მოწინავეთა რიგებში დგას. კრეფის ტემპები მოწმობენ, რომ სახელმწიფოს ვადაზე ადრე ჩააბარდება 290.000 კილოგრამი ფოთოლი. მეცხრე ბრიგადამ (ბრიგადირი ამხ. ილ. მგელაძე) უკვე 113 პროცენტით შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მეთერთმეტე ბრიგადამ 1-ლ სექტემბრისათვის კრეფის გეგმა შეასრულა 104 პროცენტით. მიმდინარე წელს კოლმეურნეობა მიიღებს მილიონ მანეთზე მეტ შემოსავალს.

დ. მგელაძე.

ბედნიერი დღე.

მუხურის (ჩხოროწყუს რაიონი) კოლმეურნეობის კანტორის ეზოში თავი მოიყარეს კოლმეურნეებმა, კოლმეურნე—ქალებმა, ბავშვებმა, დიდი ფუსფუსი. ყველას სახეზე სიხარულის ღიმილი უკრთოდა, კრების გახსნის დროც დადგა. კრებას ხსნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. ცირდავა. სიტყვით გამოდის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. ჯიქია. იგი ულოცავს კოლმეურნეებს მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტის მიღებას, და აქტს აბარებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. მგზნებარე სიტყვით გამოდიან ძველი კოლმეურნენი. მ. ჩიქოვანი, შ. ცირდავა და მიხა ჩიქოვანი.

ნ. ქომეთიანი.



ტფილისის ინდუსტრიული ინსტიტუტი ახალი სასწავლო წლისათვის წესრიგში მოჰყავთ ფიზიკური კაბინეტი. სურათზე: დოც. სარაჯიშვილი ამოწმებს ხელსაწყოს „ტესლას" ჯენის მთაღებად. ფოტო სახკინმრეწვისა

ა.-კ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისადმი მიძღვნილ გამოფენაზე

ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა, რომელიც მიძღვნილია ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისადმი, 14 სექტემბერს დაათვალიერეს ტფილისის აეროკლუბის მფრინავებმა და ტექნიკოსებმა. გამოფენამ მათზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

ორდენოსანმა ქალმა ამხ. რუსუდან ჟორდანიამ შემდეგი განაცხადა:

— მოსკოვში საქართველოს დელეგაციასთან ყოფნის დროს დავათვალიერე ლენინის მუზეუმი, ამჟამად აქ გავეცანი ქართველ მხატვრების შესანიშნავ ნამუშევრებს, რომლებიც გვიხატავენ ამიერ-კავკასიაში რევოლუციურ ბრძოლებს ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. მე განსაკუთრებით მომწონს ვეფხვაძის სურათი „ტფილისის რკინიგზის დეპოს მუშათა გაფიცვა 1900 წ." და მხატვარ ვოლგინის ნამუშევარი „სტალინი ყრმობის წლებში, გორში".

პოლიტხელმა მფრინავმა, ვასილ დოლიძემ, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც აქვს გამოფენას პოლიტსკოლებში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის ათვისებისათვის. ეს გამოფენა მთელმა ჩვენმა ქვეყანამ უნდა ნახოს. ქართველ მხატვრებს დიდი და საამაყო მუშაობა გაუწევიათ.

ტფილისის აეროკლუბის პარტორგმა მფრინავმა ამხ. პახლევანიშვილმა, აეროკლუბის უფროსის მოადგილემ მფრინავმა [illegible], რაზმის უფროსმა ბელოუსოვმა, მფრინავებმა ბელიცკიმ, ანგუროვმა, [illegible] უდიდესი კმაყოფილება გამოსთქვეს გამოფენის გამო.

სტუდენტები გამოფენაზე

12 სექტემბერს, საქ. ამხ. სტალინის სახელობის სათემო - სამეურნეო უმაღლესი კომუნისტური სკოლის სტუდენტებმა და ლექტორებმა დაათვალიერეს საქ. მხატვართა კავშირის მიერ მოწყობილი სურათების გამოფენა, მიძღვნილი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისადმი. შთაბეჭდილებათა წიგნში მათ შემდეგი ჩასწერეს:

— მთელი კოლექტივი გამოსთქვამს სურვილს რომ შემდეგში ამხ. ლ. ბერიას ისტორიული მოხსენება გამოიცეს გამოფენაზე წარმოდგენილი სურათების მოთავსებით. ეს ჩვენს ახალგაზრდობას ბოლშევიზმის ისტორიის ათვისებას გაუადვილებს.

◇

მისალმება რუსთაველის თეატრს

რუსთაველის თეატრის სახელზე ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის თეატრისაგან მიღებულია შემდეგი მისასალმებელი წერილი:

— წითელი არმიის თეატრის კოლექტივი ღრმა სიხარულის გრძნობით შეხვდა რუსთაველის სახელობის თეატრის ლენინის ორდენით დაჯილდოვებას. ეს საპატიო ჯილდო თეატრმა მიიღო მაღალი საბჭოთა კულტურის ათვისებისათვის, თავისი მაღალი ოსტატობისათვის.

ჩვენ, წითელი არმიის თეატრის მუშაკები, რომლებიც მოწოდებული ვართ შევიტანოთ მასებში ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის და წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების იდეა, ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში ვისარგებლებთ თქვენი გამოცდილებით და ვისწავლით თქვენი ოსტატობის მაღალ ნიმუშებზე.

გილოცავთ უმაღლესი ჯილდოს — ლენინის ორდენის მიღებას და გისურვებთ შემდგომ გამარჯვებას სოციალისტური ხელოვნების მწვერვალების დაპყრობაში.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ, ჩვენს დიდ სტალინს!

გაუმარჯოს მის მახლობელ თანამებრძოლს, საქართველოსი და მთელი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელს, ჩვენს საყვარელ ლავრენტი ბერიას, რომელიც ყოველდღიურ მზრუნველობას და სიყვარულს იჩენს ჩვენდამი.

◇

ლაშქრობა პამირის მწვერვალების ასაღებად

ოშა, 15 სექტემბერი (რადიო ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). ცუდი ამინდი გრძელდება. ამის გამო ლენინის მწვერვალზე ასვლა მოხსნილია. 11 სექტემბერს ექსპედიცია გაემართა დასავლეთ პამირზე სტალინის მწვერვალის მისასვლელი გზების შესასწავლად. განზრახულია 1937 წელს მოეწყოს ამ მწვერვალზე ასვლა.

ალ. ჯაფარიძე.

◇

ტროლეიბუსი ტფილისში

5 სექტემბრიდან პლეხანოვის პროსპექტზე შესწყდა ტრამვაის მოძრაობა და დაიწყო ლიანდაგის აყრა. პლეხანოვის პროსპექტი მთელ მანძილზე ასფალტირებული იქნება. ოქტომბერში ამ ქუჩაზე გაიხსნება ტროლეიბუსის პირველი ხაზი, რომელიც სადგურს დააკავშირებს ფედერაციის მოედანთან. ამ ხაზისათვის ტრამვაის ტრესტი იაროსლავის ავტოქარხნიდან სექტემბერში მიიღებს ხუთ ტროლეიბუსს.

ამავე დროს დაიწყება მუშაობა ტროლეიბუსის ხაზის გასაყვანად ჩელუსკინელთა ხიდზე. ეს ხაზი სადგურს და ფედერაციის მოედანს დააკავშირებს მეორე მიმართულებით. წლის ბოლომდე ორივე ამ ხაზზე იმუშავებს 20 ტროლეიბუსი.

სურათზე: ქუჩის დატკეპნა პლეხანოვისპროსპექტის მოსაასფალტებლად. ფოტო რ. აკოფოვისა

სასამართლო

ქეიფის შემდეგ...

ვინ არის, ნეტავი ეს ახალგაზრდა, მტკვრის პირას, საქ. სამხედრო გზის გასწვრივ, თეთრი დუქნის ახლოს მკერდგანგმირული უსულოდ რომ გდია? მის გაშლილ, გაკვირვებულ, ვაჟკაცურ მკლავებს ძალადობის კვალი აჩნევია. ეტყობა, ბოროტმოქმედები კოლექტიური: როგს მახვილი გაუკაწვრია, მაგრამ ჩაუბღუჯავს მკერდში ხელი და მტვრიანს ისე ჩაუცია დანა!

დედა კი მას სახლში მოუთმენლად ელის... ღელავს საბრალო.

— რა ვქნა, ბიჭმა ამდენხანს რად დაიგვიანა, უბედურება ხომ არაფერი შეემთხვა? დღეს შვებულება უნდა აეღო, თუ ტოლებიჭებმა სადმე წაიყვანეს... და დედის ათასნაირი ფიქრი და შიში ერთმანეთში ებლართებოდა. სწუხდა, ჰბორგავდა. მთელი ღამე ათია, ალაყაფის კარი იყო გაღებული, უცდიდა შვილს, ობლობაში გაზრდილ საყვარელ ვაჟს..

ის კი... შალვა ჰალადაძე მეორე დღეს დედას მოკლული მიჰგვარეს. ვის სწყუროდა ამ ახალგაზრდა მშრომელის სისხლი, ვინ მოჰკლა იგი?

დაიწყო საქმის გამოძიება და აი რა გამოირკვა: მოკლული შალვა ჰალადაძე ტფილისის ავტოტრანსში შოფრად მუშაობდა. გასული წლის პირველ აგვისტოს მან შვებულება აიღო; მისმა ამხანაგებმა გიორგი ქართველიშვილმა და გიორგი ხაჩატუროვმა გადასწყვიტეს ერთად რესტორან „სიცოცხლეში" ქეიფობა. ფეხდაფეხ მათ ამავე ორგანიზაციის დირექტორი ნიკოლოზ სინჯიკაშვილი და მისი მოადგილე ალექსანდრე ალექსანდროვიც აჰყვნენ, რას ზარალობდნენ? ჩასხდნენ მანქანაში და გასწიეს..

მალე „სიცოცხლეში" გაჩაღებული ქეიფი გაიმართა. კარგა რომ შეზარხოშდნენ, ახლა ცოცხალი თევზი მოიწყურეს.. ჰალადაძემ რომ დანახარჯი გაისტუმრა, ერთობ თეთრ დუქნისაკენ გაჰქროლეს...

გაიშალა სუფრა, უხვი, მაძღრისი. ჭიქა ჭიქას სცვლიდა, სადღეგრძელო-სადღეგრძელოს...

— აბა, დამკვრელი!— შემოსძახეს, და მორჩილი, თავაზიანი შალვა თვალის დახამხამებაზე რულს მიუჩინეს, დამკვრელის მოსაყვანად ტფილისში გამოისტუმრეს.

სუფრა ცოტა ხნით აიშალა... სინჯიკაშვილმაც „თავისივე" მანქანით, ქეიფის თანამონაწილის დემიან ნოვიკოვის შოფრობით, ქალაქისაკენ მოჰკურცხლა.. სიყვარულის კავშირი—მხლებლმა „სატრფო" ბ. ლ. მოიწვია და შემდეგ მანქანით თეთრი დუქნისაკენ გასწია.

ამ ქალთან თურმე შალვა ჰალადაძესაც ჰქონია ინტიმური კავშირი. სინჯიკაშვილს ეგონა, ქალის აქ მიყვანით „მეტოქე" ჰალადაძეს გაალიზიანებდა, გააბრაზებდა.. მაგრამ ტფილისიდან დაბრუნებულმა შალვამ ამას ყურიც არ ათხოვა... მისვლისთანავე სუფრას მიუსხდნენ და ქეიფი განაგრძეს.

სინჯიკაშვილმა ამასობაში ქალი ისევ ტფილისში ჩამოიყვანა და კვლავ თეთრ დუქანს, დატოვებულ სუფრას მიაშურა.. ხელახლა შეუბრუნდნენ ღვინოს, სადღეგრძელოებს...

მალე მათ ვიღაც შავბალათიანი კაცი შეუერთდა, რომელიც მისვლისთანავე, პირველყოვლისა, დირექტორს მიესალმა. სინჯიკაშვილიც მისულს გადაეხვია და მას პატივსაცემად ამხანაგებს ფეხზედგომით გულთბილი სადღეგრძელო შესთავაზა.

ქეიფსა და ორომტრიალში კარგა ხანმა გაიარა — ღამის ოთხმა საათმა მოაწია...

აიშალნენ, საქმე დანახარჯის გასტუმრებაზე მიდგა.

— აბა, შალვა! ისევ ჰალადაძეს შესძახეს.

— რათა, ამხანაგებო, „სიცოცხლეშიც" მე გადავიხადე, წელან, ტფილისში დამკვრელზე წასვლამდე აქაც, და ახლაც მე გადავიხადო?

ამაზე მოსულიათ ყველას შალვაზე გული და წალაპარაკებულან კიდეც.

დირექტორს ჰალადაძის „ურჩობის" შემხედვარეს ველარ მოუთმენია და მებუფეტესათვის მუქარით უბრძანებია: „რახან ასეა და ფულს არ იხდის, მაშინ დანახარჯი არავის გამოართვა, თორემ აქ ყველაფერს მიგილეწავ. ხვალ მოდი ჩემთან ტრესტში და მე მოგცემო".

შალვას ვერ გაუძლია დირექტორის რისხვისათვის, ამოუღია ჯიბიდან მთელი ფული და თვალცრემლიანს უსაყვედურებია: „შვებულების ფული სულ გამოგლანძეთ, ფეხსაცმელები მჭირდა მიხარებული, იმის დასახმარებლად მჭირდებოდაო".

სანამ ჰალადაძე ანგარიშს გაასწორებდა, სინჯიკაშვილი აჩქარებით მანქანაში ჩაჯდა და წამოსასვლელად გაემზადა. მზარეულმა ფირანიშვილმა ვერ მოითმინა ამხანაგების ასეთი უყურადღებობა შალვასადმი და სინჯიკაშვილს უთხრა: „ჰალადაძე ძალზე მთვრალია, შავბალათიანი და ის საქ. სამხედრო გზაზე გაუდგნენ—მიხედეთ, არაფერი დაემართოსო.

— რას დავეძებ, სადაც უნდა იქ წავიდეს! უპასუხა სინჯიკაშვილმა მკვახედ..

დაახლოვებით ერთი საათის შემდეგ სინჯიკაშვილი და ქართველიშვილი ისევ ბრუნდებიან თეთრ დუქანში. უკვე დაძინებულ მზარეულს და მებუფეტეს აღვიძებენ და ეკითხებიან — აქ ხომ არავინ დაბრუნებულა?—ის შავბალათიანი ვინ იყოო?

— როგორ, კაცი მთელ საღამოს თქვენთან ქეიფობდა, გვერდით გიჯდათ, ეხვეოდით და მის ვინაობას ჩვენგან გვეკითხებით, განა თქვენ არ იცით ვინ არისო?

ეტყობა, სინჯიკაშვილი და მისი ამხსონები თვალის ახვევის პოლიტიკას აწარმოებდნენ, ბოროტმოქმედების კვალს რეცხდნენ, თავი მიამიტად მოჰქონდათ.

ჰალადაძის მკვლელობა რომ გახმაურდა, მეორე დღეს სინჯიკაშვილს თავის კაბინეტში ქეიფის მონაწილენი მიუწვევია და ჩაკეტილში გულმოდგინეთ თათბირობდნენ.

სწორედ ამ დროს მიუსწრო სისხლის სამართლის მილიციამ... მაგრამ „არ დაიბნენ" დაკითხვისას ყველამ ხელები გაასავსავა, რა ვიცით, ჰალადაძე ვინ მოჰკლაო. იმ შავბალათიანის არც გვარი ვიცით, არც სახელი, არც ვინაობა, ვერც სახეზე ვიცნობთ!—უსირცხვილოდ განაცხადეს.

— შალვას მე თვითონ დავეძებდი. ღამე, თეთრ დუქანში ხელმეორედ მივბრუნდი — მეგონა, და რომ ვერა ვნახე, მეგონა სხვა, ვისიმე მანქანით სახლში წამოვიდოდაო. იცრუა სინჯიკაშვილმა.

თითქმის ერთი წლის განმავლობაში [illegible] ეშმაკობდნენ გზასა და კვალს რეცხდნენ. კაცი თვალსა და ხელს შუა გააქრეს და სულ უბრალო ცნობას მიცემაზედაც კი უარს ამბობდნენ.

ახლა კი ყველაფერი გამოაშკარავებულია.

გარეუბნის რაისასამართლო ამა წლის 23 სექტემბერს გაარჩევს ამ საქმეს...

ვ. ც.

მოედანი უნდა დარჩეს

(წინადადების სახით)

ქ. გორის შუაგულ ადგილას ერთადერთი ფართო მოედანია. რამდენიმე წლის წინათ მისი შეექვსედი ნაპირის გაყოლებაზე გასტიხრეს და ეზოდ აქციეს. ახლა შუამოედნის მთელ სიგრძეზე გაუკვანიათ ქუჩა, რომლისთვისაც ცემენტით გაუკეთებიათ რუები და შემდეგ, როგორც ეტყობა, გაუკეთებენ ტროტუარებსაც. დანარჩენ ადგილი კი, როგორც ამბობენ, მოიჯნავე მეკომურებს ემატებათ, ე. ი. მოედანი სრულიად ისპობა.

სხვა ქალაქებში, სადაც კი არ ჰქონდათ მოედნები, ან ჰქონდათ და პატარა იყო, სახლებს ანგრევენ, აფართოებენ და აქ კი, პირიქით. სპობენ!

ამ მოედანს გორის ისტორიისა ბევრი რამ უნახავს. აქ გაუტარებია ამხანაგ სტალინს თავისი ბავშვობის დრო. გორელებისათვის მოედნის ხსენება მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ბელადის სახელთან.

რევოლუციის დროს პირველი წითელი დროშა ამ მოედანზე აფრიალდა და გაისმა მგზნებარე სიტყვები. ეს ისტორიული მოედანი ისევ მოედნად უნდა დარჩეს და „სტალინის მოედანი" ეწოდოს.

ვ. მიხაშვილი.

◇

კოლმეურნეები კულტურულად ისვენებენ

სოფელ საყულიის (ქუთაისის რაიონი) კოლმეურნეები კულტურულად ისვენებენ. სოფლისაბჭოს ინიციატივით აგებულია ახალი, კულტურულად მოწყობილი სამკითხველო. სამკითხველოს ბიბლიოთეკა შევსებულია ახალი მხატვრული ლიტერატურით. კოლმეურნეები დიდ მოთხოვნილებას აყენებენ შოთა რუსთაველის გენიალურ პოემა „ვეფხვის ტყაოსანზე".

საღამოობით სამკითხველოში იკრიბებიან კარგად ჩაცმული კოლმეურნეები: მამაკაცები, ქალები, მოხუცები, ახალგაზრდობა და ბავშვები.

სამკითხველოს გამგის ნინო სვანიძის ინიციატივით კოლმეურნეებისათვის სისტემატურად იმართება საუბრები.

დიდ ინტერესს იჩენენ კოლმეურნეები ჭადრაკისადმი. სამკითხველოსთან მოწყობილია საჭადრაკო წრე, რომელშიაც 13 კოლმეურნე მეცადინეობს.

ტფილისის ჩოგბურთის მოედანზე დაიწყო ჩოგბურთელთა საქალაქო შეჯიბრება. სურათზე: ჩოგბურთელი გიორგი ქათიანი თამაშის მომენტში. ფოტო რ. აკოფოვისა

სპორტი

ძალოსანთა ახალი რეკორდები

ტფილისის ძალოსნების სასპორტო ტექნიკის გაუმჯობესებისა მიზნით ტფილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ბაკურიანში ჩაატარა ძალოსანთა ერთთვიური შეკრება, რომელსაც ხელმძღვანელობდა მსოფლიო რეკორდსმენი—ლენინგრადელი ძალოსანი მატოვი. უკანასკნელს მარცხენა ხელით ატაცებაში დამყარებული აქვს მსოფლიო რეკორდი. სიმძიმის ამწევთა გასულ საკავშირო შეჯიბრებაზე მან ორი ხელით იტაცა 105 კილოგრამი და ამნაირად შესძლო თავისი უპირატესობის გამომჟღავნება ბურჟუაზიული ქვეყნების ძალოსნების წინაშე. სიმძიმეების აწევის იდეალურად დამუშავებული ტექნიკა მას საბჭოთა კავშირის საუკეთესო მწრთვნელთა რიგებში აყენებს.

ბაკურიანში ჩატარებულმა სასწავლო შეკრებამ დიდი ნაყოფი მოუტანა ტფილისის ძალოსნებს. ახალი რეკორდების დამყარების მიზნით გამართულ საღამოზე ტფილისის ძალოსნებმა საუცხოო შედეგებს მიაღწიეს. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა კალმახელიძემ, რომელმაც სამჭიდის ჯამში შესძლო 340 კილოგრამის შეგროვება. პირველი შედეგს ამხ. კალმახელიძე საბჭოთა კავშირის ძალოსანთა შორის მეორე ადგილზე გამოჰყავს. პრიმას მიერ სამჭიდის ჯამში დამყარებული საკავშირო რეკორდი 345 კილოგრამს უდრის. მშვენივრად ჩაატარა თავისი გამოსვლა „სპარტაკის" ძალოსანმა ეფენტმა, რომელმაც დაამყარა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს რამდენიმე ახალი რეკორდი. ა.-კ. ახალი რეკორდის დამყარება შესძლო აგრეთვე სამებელაშვილმა.

მოჭიდავეთა შეხვედრებმა დიდი ინტერესით ჩაიარა და ტფილისის მოჭიდავეების მშვენიერი მომზადება გამოამჟღავნა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ თიკანაძე, მარტიროსოვი, კობაიძე, ჩიტაძე და სხვ.

○

„დინამო" — „სპარტაკი"

გუშინ, 15 სექტემბერს, მოსკოვში უნდა შემდგარიყო მორიგი კალენდარული მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ა" ჯგუფში ტფილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკს" შორის.

ცუდი ამინდის გამო თამაში გადაიდო.

□

შემთხვევები

სპეკულანტები. მილიციის მე-10 განყოფილების თანამშრომლებმა „კავშირ-ქალაქვაჭრობის" მაღაზიაში (ლენინის ქ. 2) შეიპყრეს მ. ა. კოსტანჯიანი (კალიაევის ქ. 2), რომელიც სპეკულატურ ფასებში ყიდდა ამ მაღაზიაში ნაყიდ ველოსიპედს. მასთან ერთად შეიპყრეს ი. ბ. ჩიპჩიური, რომელსაც აგრეთვე ჰბრალდება სპეკულაცია. სპეკულანტები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

გაუფრთხილებელი ხელი. საქ. სამხედრო გზაზე ავტობუსი № 36 (შოფერი ეჩელიანოვი), დაეჯახა დ. ი. ბეზნიკინის ფურგონს, რის შედეგად დაიჭრა ცხენი.

ხელოვნება

ოპერა „არსენა"

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ორდენოსანი კომპოზიტორი ი. ტუსკია ორდენოსან დრამატურგ სანდრო შანშიაშვილთან ერთად ამჟამად მუშაობს ოპერა „არსენაზე".

უკვე მზად არის ოპერის პირველი სურათი. ოპერა იწყება ექსპოზიციით, რომელშიაც ნაჩვენებია ზაალ ბარათაშვილის ბრძოლა გლეხებთან. შემდეგ მიდის დრამატიული მოქმედება, რომელიც ძირითადად პიესის მესამე აქტის მასალაზე შენდება.

ოპერა იქნება ოთხმოქმედებიანი. ოპერაში ერთერთი მთავარი პარტია რუსი ჯარისკაცის მიტროხინის პარტია იქნება. კომპოზიტორის მიერ „არსენა" მოფიქრებულია როგორც მონუმენტური გმირული ნაწარმოები. მთელი მუსიკა ეყრდნობა ხალხური მოტივების ფართოდ გამოყენებას.

მოსკოვში ყოფნის დროს ი. ტუსკიას და ს. შანშიაშვილს საუბარი ჰქონდათ დიდი საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან რესპუბლიკის სახალხო არტისტ ს. სამოსუდთან, რომელმაც სურვილი გამოსთქვა „არსენა" დაიდგას დიდი თეატრის სცენაზე პროლეტარული რევოლუციის ოცი წლისთავის დღესასწაულზე.

◇

ქრონიკა

- ● **ტფილისში** დაბრუნდა სამხატვრო აკადემიის ფრიადოსან სტუდენტთა ექსკურსია. ექსკურსანტებმა მოიარეს მოსკოვი და ლენინგრადი, სადაც გაეცნენ ხელოვნების ძეგლებს და მუზეუმებს.
- ● **ქ. მახარაძეში** შენდება 40 მეტრიანი პარაშუტის კოშკი, რომელიც ოქტომბრის დღესასწაულზე გაიხსნება.
- ● **საქ. საბჭოთა მწერლების** კავშირის პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე ჩამოყალიბებულ იქნა პროზაიკოსთა აქტივის სექცია. თავმჯდომარეა ორდენოსანი მწერალი მიხ. ჯავახიშვილი.
- ● **ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებში** წელს ხილის უხვი მოსავალია. მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოსა და ტფილისში ქუთაისიდან გაიგზავნა ათას ტონაზე მეტი ხილი.
- ● **საქართველოს** 17 რაიონში დაიწყო საპლანერო სადგურების ორგანიზაცია. ცალკე რაიონებში ასეთი სადგურები უკვე შექმნილია და მომარაგებულია სათანადო ხელსაწყოებით. ყველა რაიონში სწარმოებს კურსანტების შეგროვება.

◇

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე „საბჭოთა კავშირი — მუშებისა და გლეხების სოციალისტური სახელმწიფო". 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — აგიტატორთა კურსების მეცადინეობა. 7 საათზე.

○

— **დღეს, 16 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე,** საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ამხ. სულეიმანის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე პარტკომიტების მდივნებისა, პარტორგებისა და პარტპოლიტშკოლის პროპაგანდისტებისათვის.

— **საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომი** წინადადებას აძლევს ამხ. თედორე ვასილის-ძე ბაშკოვს, გრიგოლ მიხეილის-ძე ფირცხალავას და ანასტასია ნიკოლოზის ასულ დოლიძეს დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ რაიკომში.

— **საქ. კ.პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომი** აცხადებს, რომ იასონ ანდრიას-ძე კეკელიძის ძველი ნიმუშის პარტბილეთი № 2428400 დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **საქ. კ.პ. (ბ) ჯულფის რაიკომი** იუწყება: გაუქმებულად ჩაითვალოს ბინის გაქურდვის დროს წაღებული პარტბილეთი 1936 წლის ნიმუშის № 1524588, გაცემული ჯულფის რაიკომის მიერ ა-წლის 23 ივნისის თარიღით ბარამ ამბაკუმის-ძე ლევონჯანის სახელზე.

რუსთაველის თეატრის სტუდია

1936—37 სასწავლო წ.

გრძელდება სტუდიაში განცხადებათა მიღება

მამაკაცებისა და ქალებისა 17-დან 25 წლამდე, საშუალო განათლებით.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. მუშათა კლუბების, თეატრების, თვითმოქმედ წრეების, პროფკავშირის და პარტორგანიზაციების რეკომენდაცია, 2. განათლების მოწმობა 3. მეტრიკული ამონაწერი, 4. პასპორტი, 5. სამხედრო წიგნაკი, 6. ჯანმრთელობის მოწმობა და 7. ორი ფოტოსურათი. გამოცდისათვის საჭიროა რომელიმე ლექსის ან მხატვრული ნაწყვეტის ზეპირად ცოდნა.

განცხადებების მიღება სწარმოებს სტუდიის კანცელარიაში დილის 10-დან 3 საათამდე.

მისაღები გამოცდები დანიშნულია 22 სექტემბერს, დღის პირველ საათზე.

150 **დირექცია.**

კინოთეატრები		
	ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი მხატვრული ფილმი „ოქროს ტბა" პროგრ. ჟურნ. ხმოვ. ქრონ. „ალექსეი სტახანოვი"
	დამკვრელი 6-20, 8-15, 10-05, საბავშ. 8-30, 10-20	ახალი ხმოვანი ამერიკული მხატვრული ფილმი **„დიდი ქალაქის ჩირაღდნები"** სცენარი, რეჟისურა და მუსიკა **ჩარლი ჩაპლინისა** ბილეთების წინასწარი გაყიდვა დილის 12—5 ს-მდე
	ამიერკავშირელი 7-20, 9-10, 11, საბავშ. 7-40, 9-30, 11-20	
	რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი ფილმი **„პეტერი"** დილით 12 საათიდან **„ცირკი"**
	„მთვარი" 7-40, 9-20, 11-10	უკანასკნელ ორ დღეს 14 და 15/IX **„ახალი ხანა"**
	26 კომ. სახ. 8, 10	ხმოვ. სურათის **„პეპო"** სომხ. ფარ.
	კომინტერნი საბავშ. 8-30, 10-30	მხატვ. ფილმი **„იაკიმ და გოდერძი"**

ქ. ტფილისის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ყველა ფაბქარხადგილკომს

ა-წ. 16 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, წითელი არმიის სახლის ბაღში— პლეხანოვის პროსპექტი, № 73, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „კომუნისტი" და „სოიუზპეჩატი" იწვევენ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და სხვ.

ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელ საზოგადოებრივ რწმუნებულთა კონფერენციას

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა ამ კონფერენციას ჟურნალ-გაზეთების წარმატებით გავრცელებისა და ხელმომწერთათვის მათი მიტანის საქმეში, საქართველოს პროფსაბჭო წინადადებას გაძლევთ გამოგზავნოთ თქვენი საზოგადოებრივი რწმუნებულნი პრესის გავრცელების საქმეში.

საქართველოს პროფსაბჭო.

ამით ცხადდება ორგანიზაციათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ, თანახმად საქ. ჩაის ტრესტის და საქ. ჩაის მომარაგების სამმართველოს ბრძანებისა № 122,

ხდება სამტრედიის საქ. ჩაის მუშათა მომარაგების განყოფილების (ორსი) ლიკვიდაცია.

ყოველივე პრეტენზიები მიიღება ლიკვიდკომის სახელზე. ა-წ. 25 სექტემბრამდე, ამ ვადის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ იქნება განხილული. ლიკვიდკომის მისამართი: სამტრედია, წერეთლის ქ. № 4.

16045 **ლიკვიდკომი.**

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი

1936-37 წ. სეზონი.

მუდმივი წლიური ადგილები გამოშვებულია

ბილეთების ფასი დაკლებულია 40 პროცენტით.

დაკვეთები მიიღება თეატრის სალაროში 11—2-დან 6—9 საათამდე. 3-3 30

ქ. ტფილისის ყველა საშუალო და დაწყებითი სკოლის დირექტორებს

16 სექტემბერს საღამოს 7 საათზე, წითელი არმიის სახლის ბაღში—პლეხანოვის პროსპექტი, № 73—საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „კომუნისტი" და „სოიუზპეჩატი" იწვევენ

პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებელთა კონფერენციას ჟურნალ-გაზეთების გავრცელებისა და მიტანის საკითხებზე.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა ჟურნალ-გაზეთების წარმატებით გავრცელებისა და მიტანის საქმეს, ტფილისის სახალხო განათლების განყოფილება წინადადებას გაძლევთ გამოგზავნოთ სკოლებიდან წარმომადგენლები—საზოგადოებრივი რწმუნებულნი, რომლებიც გამოყოფილ უნდა იქნენ ადგილებზე საერთოსასკოლო ორგანიზაციებად ახალგაზრდობისა და საბავშვო პრესის გავრცელების დარგში.

ტფილისის სახალხო განათლების განყოფილება.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

უმაღლესი ორგანოების დადგენილების და საქ. კოოპინკავშირის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, ინვ. არტ. „ავანგარდმა" გახსნა ძველი ტანსაცმლის შემსყიდველ-შემკეთებელი პუნქტები:

დესამონოვის მოედანზე, პეტრიწის ქ. № 24 და ავლაბრის ბაზარში. პუნქტები ყიდულობენ, აწარმოებენ შეკეთებას და ჰყიდიან ყოველივე ძველ ტანსაცმელს.

არტელ „ავანგარდის" გამგეობა.

3—3 712 ქ. ტფილისი, სახვაპრობის ქ. № 15.

ბ ა ლ ა ნ ს ი

საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტფილისის მაუდ-კამვოლური ფაბრიკის 1936 წლ. 1 იანვრისათვის და მისი შეფარდება 1935 წლ. 1 იანვრის ბალანსის მონაცემებთან.

აქტივი	1935 წლის 1 იანვრისათვის	1936 წლის 1 იანვრისათვის
1. ძირითადი საშუალებანი საწარმოო მიმდინარეობის	5866012—98	6217958—27
ა) ძირითადი საშუალებ. მომქმედი	5862936—93	6165456—20
ბ) ძირითადი საშუალ. უმოქმედო	3076—05	52502—07
2. ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო და მოხმარებითი მნიშვნელობის	1380452—20	2160093—12
3. ანგარიშსწორება გადაცემული საშუალებებით	1586625—20	2112470—33
4. საწარმოო მარაგი საწყობში და გზაში	4130129—28	3893985—53
5. დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარ ფაბრიკატი	956280—30	1732589—90
6. საქონელი და მზა ნაწარმი საწყობში, გზაში, გადაგზავნილი და სარეალიზაციოდ გამოყოფილი ფასეულობანი	434668—16	490670—84
7. ფულადი საშუალებანი	43185—90	76168—40
8. დებიტორები	507159—83	934930—75
9. მომავალი პერიოდის ხარჯები	83998—61	89865—31
10. გამოყოფილი საშუალებანი	262660—97	2573147—49
ბალანსი	15251173—43	20282079—94

პასივი	1935 წლის 1 იანვრისათვის	1936 წლის 1 იანვრისათვის
1. საწესდებო ფონდი	7799668—28	10436747—31
2. საამორტიზაციო ფონდი	873620—04	1087545—55
3. სპეცფონდები	195551—94	339927—82
4. რეზერვები	180103—41	1470[illegible]8—31
5. მოკლევადიანი (სახ. ბანკის) კრედიტები	2858700——	3388996—98
6. კრედიტორები	978594—97	946163—63
7. მომავალი პერიოდის შემოსავალი	34000——	
8. შედეგი:		
ა) მოგება საანგარიშგებო წლამდე	2330934—79	
ბ) მოგება საანგარიშგებო წლისა		3985695—34
ბალანსი	15251173—43	20282079—94

დირექტორი: **ა. ალიბეგაშვილი.** მთ. ბუხჰალტერი: **ქ. ჩალტიკიანი.**

ეს ბალანსი განხილულია საქ. ადგ. მრეწვ. კომისარიატის სპეც. კომისიაში, დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის კომისრის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1580 საქ. ადგ. მრეწვ. სახ. კომ. მთ. ბუხჰალტერი: **პ. ჯანელიძე.**

გულდათუთქული მშობლები: ილიკო, ანიკო, ძმა შოთა იუწყებიან, რომ 18 სექტემბერს, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი საყვარელი

ლამრიკო ილიას-ასულ **ქარუხნიშვილის**

წლისთავის აღსანიშნავად. 16066

დედამთილი ლილისი მატარაძისა, მაზლი სანდრო მატარაძე ცოლით, მიტროდორა შვილით ნელიკოთი, მულები: სონა, მარო ქმრებით შაქრო ოქროპირიძე, მიშა ლორთქიფანიძე იუწყებიან ძვირფასი რძლის

ნინო მიქელაძე—მატარაძის

გარდაცვალებას. 16053

ნინო როსტომის-ასული, ლიზა ალექსანდრეს-ასული, ლეო ტიმოთეს-ძე გაბისკირიები იუწყებიან საზოგადოებას, რომ ფოთში 18 სექტემბერს 5 ს. განსვენებულ

ტიმოთე პეტრეს-ძე გაბისკირიას

საფლავზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი. 16060

გულდამწვარი მშობლები: ვანო, ნინო, ძმები: ნაპოლეონ, ჟორჟიკ, ბებია სოფიო იუწყებიან

პატარა თინა ივანეს-ასულ გიორგაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 4 ს. კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება კობალიანის ხევი, 3. 16062

გიორგი, ნოე, ვასო და ვალიკო თავიანთი ცოლშვილით, თამარ, ნელი, და ვერა შვილებით იუწყებიან საზოგადოებას საყვარელი სიძის

სევერიანე ივანეს-ძე მუსერიძის

გარდაცვალებას. 16059

ანიკო, გიორგი, ელენე და მიშა ჰკონიები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ბაბუა მოსეს-ძე კვაჭაძის შვილის

მოსე ივანეს-ძე კვაჭაძის

გარდაცვალების გამო. 16018

ბიძილა ივლიტე, ბიძაშვილები: ვალოდია ცოლით, კლემენტი, თამარ, შუშანა, ივრაფინა ქმრით, მარგალიტა იუწყებიან—18 სექტემბერს 5 ს. დიდუბიაში დანიშნულია [illegible] ინსტიტუტის დირექტორის სახუნტის დოცენტის

გრიშა ნუცუბიძის

პანაშვიდი. 16061

სამტრედიის რკ.-გზის ა.-სრ. საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება, რომ 18 სექტემბერს ქ. ტფილისში დანიშნულია ამავე სკოლის დირექტორის ანდრო კანდელაკის საყვარელი ძმის

ვანო კანდელაკის

სამოქ. პანაშვიდი. 16057

ღრმად დამწუხრებულნი: ცოლი ოლია მენგელია, ძმა პავლე ხარიბავა ცოლშვილით: დესპინე, პლატონი, პაშა და ვლადიმერი მწუხარებით იუწყებიან უძვირფასესი

ვანო ხარიბავას

გარდაცვალებას. გამოსვენება 18 სექტემბერს, მალაკნის, 52. 16055

საქ. სახელგამის სამმართველო, პარტორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან, რომ ა.-წ. 13 სექტემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სახელგამის თანამშრომელი, დამსახურებული მასწავლებელი

სევერიანე ივანეს-ძე მუსერიძე

დაკრძალვა 16 სექტემბერს. 16070

გულმოკლული მშობლები: დავით, ელენე, დები: გოცა, ქეთო, ქმრებით დისწული ლიანა, დეიდა პაშა იუწყებიან, რომ 18 სექტემბერს 6 საათზე ქუთაისში დანიშნულია უსაყვარელესის

ვახტანგ შენგელიას

სამოქ. პანაშვიდი. 16054

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატყეო სამმართველოს და საქტყემარაგებლობის ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ინჟინერ

მიშა ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო. 16035

დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე, შვილები: ნიცა, ქეთინო, თამრიკო იუწყებიან ძვირფასი

პეტრე ზახარიონის-ძე კიზირიას

უეცრად გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გამოსვენება 17 სექტემბერს 4 ნახ. ს. საბჭოს, 44. 16058

თავზარდაცემული ბაბუა მიხაკო, ბებია მარინე, ბიძა ვალოდია, დეიდები: ანეტა, შუშანა, ლიდა ძმელაძეები, ალიოშა, ვენერა, ზინა თოიძეები დასტირიან სიცოცხლით სავსე

ბიბი აროშელიძის

დაკარგვას. დაკრძალვა მახარაძეში, 17 სექტემბერს. 16049

ღრმად დამწუხრებული მშობლები: სოფია და მატრონა კარტოზიები იუწყებიან საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ერთად ერთი შვილი

ილია (ძუკა) კოწიას-ძე კარტოზია

დაკრძალვა ზანძაში, 19 სექტემბერს. 16050

ხ. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 65.

მთავლიტის რწმუნებული ა 8029